



F-171  
1976

360  
400  
097

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

ქ რ ე ბ უ ლ ი

6

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

0 3 6 0 6 0

1111  
460  
097  
1781

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის  
31 მარტის ბრძანება № 327

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1974-1975 სასწავლო წელს ჩატარებული გადასაცვანი, გამოსაშვები და 1975 წელს უმაღლეს სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდანითავრებულთა ჩისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილში გაუმჯობესდა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმე. სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სწავლების პროცესში უნარიანად იყენებენ მუშაობაში ახალ ხერხებსა და მეთოდებს, თვალსაჩინოებებს, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, ატარებენ ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს. გარკვეული ღონისძიებები ტარდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის დასაძლევად. ყოველივე ამის შედეგად ამოღდა მოსწავლეთა ცოდნის დონე, განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა, ცხოვრებისათვის, პრაქტიკული საქმიანობისათვის მათი მომზადება. სახალხო განათლების ადვილობრივ ორგანოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს 1975 წელს დროულად გაეგზავნათ საგამოცდო ინსტრუქციები, ოქმები, საგამოცდო ბილეთები. ადგილებზე დროულად შეირჩა საგამოცდო კომისიები, შედგა ცხრილები და სხვ.

1974-75 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებში ორგანიზებულად დაიწყო და საგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით ჩატარდა გადასაცვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატესტატზე, ჩასაბარებელი გამოცდები. სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი მაღალი პედაგოგიური პასუხის-

ქ. მარტის სსრ. საქ. სსრ.  
სახელმწიფო სპეცბლოკი.  
განათლების სამინისტრო.

შეგზოების გრძნობით მოეკიდა ვადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების სადღეისო მოთხოვნათა დონეზე ჩატარებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეს.

ეროვნული  
ზნაობისთვის

1975 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების სამივე ფორმის 19935 ადგილზე მისაღებ გამოცდებს აბარებდა 51755 აბიტურიენტი. მათგან დღის სწავლების 8376 საკონკურსო ადგილზე-44145, საღამოს სწავლების 2320 საკონკურსო ადგილზე-7797, დაუსწრებელი სწავლების 1740 ადგილზე-3813 აბიტურიენტი. გამოცდები დადებით ნიშანზე ჩააბარა დღის სწავლებაზე შემსვლელთა 30,4%, საღამოზე-32,1%, დაუსწრებელზე-43,4%.

უკანასკნელ წლებში სკოლების ხელმძღვანელთა და სახალხო განათლების ორგანოების პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის გაზრდის შედეგად მკვეთრად შემცირდა კურსდამთავრებულთა ოქროს მედლით დაჯილდოვებულთა რაოდენობა. 1975 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებს აბარებდა 1975 წელსა და წინა წლებში დამთავრებული 239 მედალოსანი, მათგან პირველსავე საგანში „ხუთი“ მიიღო და ჩაირიცხა ინსტიტუტებში 114 მედალოსანი, განავრძო გამოცდების ჩაბარება და ჩაირიცხა-49, ხოლო 10-მა არაღამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის სკოლების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ჯეროვან მომზადებას მოქმედი პროგრამების ფარგლებში.

მედლის კანდიდატების წერიითი ნამუშევრების არაობიექტურად შეფასების შემთხვევებს ჰქონდა ადგილი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში: თბილისის 30-ე (დირექტორი ა. ჩანტლაძე, მასწავლებელი ტ. ლომიძე), 78-ე, (დირექტორი შ. კითანავა, მასწავლებელი ი. ბურშტენი), 116-ე (დირექტორი მ. ფილიშვილი, მასწავლებლები ს. ზალნოვა, ვ. ელიზბარაშვილი), ზუგდიდის მე-8 (დირექტორი ს. ვეკუა, მასწავლებელი კ. პერტენავა), ფოთის 1-ელი (დირექტორი რ. დლონტი, მასწავლებელი პ. ნაცვლიშვილი), თიანეთის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი გ. ჯანგირაშვილი, მასწავლებელი რ. კვიციანი), ლანჩხუთის მე-2 (დირექტორი გ. ვოგუა, მასწავლებელი ე. ბილიხოძე), სუფსის მე-3 (დირექტორი და მასწავლებელი ნ. მუმლაძე), ცხაკაიას მე-2 (დირექტორი ი. ბარტაძე, მასწავლებელი

გ. ყიფიანი), დუშეთის რუსული (დირექტორი ვ. შუშანოვი, მასწავლებელი ე. პაშკინა), ბოლნისის რაიონის კაზრეთის (დირექტორი ლ. ფოტოვი, მასწავლებელი ე. გურბინა), მათემატიკაში: ქ. თბილისის 32-ე (დირექტორი ე. ნემსიწვერიძე, მასწავლებელი ა. ბერძენიძე), ქ. ზუგდიდის მე-8 (დირექტორი ს. ვეკუა, მასწავლებელი ე. ყუფუნია), ბოლნისის რაიონის ლ. კაზრეთის (დირექტორი ლ. ფოტოვი, მასწავლებელი ა. კუმიჩოვი), ხობის 1-ლი (დირექტორი ა. ბერაია, მასწავლებელი ვ. კვიციანი), მე-2 (დირექტორი მ. ფალავა, მასწავლებელი ს. არჩაია), მახარაძის რაიონის ნასაკირალის (დირექტორი ვ. თალაკვაძე, მასწავლებელი ნ. თავართქილაძე), თიანეთის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი რ. ჯანგირაშვილი, მასწავლებელი ს. ხუბაშვილი), დუშეთის რუსული (დირექტორი ვ. შუშანოვი, მასწავლებელი ვ. ლაზოვი) და სხვ.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე კურსდამთავრებულთა საგრძნობმა ნაწილმა არაღამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და სხვა დისციპლინებში.

1975 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში შესუსტებულია კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სკოლებში იწერება გაუმართლებლად მაღალი ნიშნები.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 1975 წლის მისაღებ გამოცდებზე არაღამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო: ქ. თბილისის 63-ე სკოლიდან (დირექტორი ლ. ხუციშვილი, მასწავლებლები გ. შახნაზაროვი ფ. გორელაშვილი, ლ. კოვალი) 10-მა კურსდამთავრებულმა, მათ შორის ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 6-მა, 64-ე სკოლიდან (დირექტორი მ. მაკასარაშვილი, მასწავლებლები ნ. გოლუბევა, ნ. ახვერდოვი, ნ. ირიანოვა) 12-მა, ხუთოსანმა 4-მა, ოთხოსანმა 6-მა, 37-ე სკოლიდან (დირექტორი ლ. ბუჩკოვა, მასწავლებელი ა. ვორობოვა) 20-მა, ხუთოსანმა 1-მა, ოთხოსანმა 9-მ, 46-ე სკოლიდან (დირექტორი თ. ქანტურიშვილი, მასწავლებლები ფ. ჯავახია, მ. კალანდაძე) 13-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 10-მა, 24-ე სკოლიდან (დირექტორი ნ. დევდარიანი, მასწავლებელი კ. კუქავა) 14-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 10-მა, 27-ე სკოლიდან (დირექტორი ი. თუმანიშვილი, მასწავლებლები ი. გორეცკაია, ვ. ტახტაროვი) 6-მა,

ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 4-მა, მე-19 სკოლიდან (დირექტორი რ. საჩიძე, მასწავლებლები ნ. ბაინდუროვა, ს. მეშიერიძე, მ. კვიციანი, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 9-მ, მე-2 ვახანგარდლიდან (დირექტორი სკოლიდან (დირექტორი ლ. მგალობლიშვილი, მასწავლებლები ვ. კილასონია, ნ. კვიციანი) 4-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 2-მა, 130-ე სკოლიდან (დირექტორი რ. გურგენიძე, მასწავლებლები ნ. მუმლაძე, ლ. ხონელიძე) 11-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 8-მ, 140-ე სკოლიდან (დირექტორი ა. თხინვალი, მასწავლებლები ე. თოდუა, ე. მაღალაშვილი) 7-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 4-მა, მე-8 სკოლიდან (დირექტორი ა. კვიციანი), მასწავლებლები: ე. მანუკიანი, ს. შვედათუაშვილი) 12-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 9-მ, 142-ე სკოლიდან (დირექტორი კ. ლოლაძე, მასწავლებლები კ. შილაკაძე, ი. ფირცხალავა) 17-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 15-მა, 112-ე სკოლიდან (დირექტორი მ. გოგუაძე, მასწავლებლები ე. გოგუბერიძე, ლ. მამულაშვილი) 16-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 8-მ, მე-20 სკოლიდან (დირექტორი ს. გველესიანი, მასწავლებლები ე. ებრაელიძე, დ. ჭყონია) 13-მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 9-მ, 82-ე სკოლიდან (დირექტორი ლ. ვორობიოვა, მასწავლებლები ვ. კახესოვა, ე. ჯიბუტი ვ. მოლარკოვა) 11-მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 3-მა.

ქ. ქუთაისის მე-2 სკოლიდან (დირექტორი ა. სანდუხიძე, მასწავლებლები მ. კალანდარიშვილი, ვ. ლომთაძე) 23-მა, ხუთოსანმა 3-მ, ოთხოსანმა 17-მა, მე-8 სკოლიდან (დირექტორი რ. ცინცაძე, მასწავლებლები ნ. ვასაძე, გ. შალამაერიძე, მ. ბარქაია), 10-მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 7-მა, მე-9 სკოლიდან (დირექტორი ვ. სეჩენკო, მასწავლებელი ა. შიხაშვილი) 8-მ. ხუთოსანმა 1-მა, ოთხოსანმა 5-მა, მე-19 სკოლიდან (დირექტორი რ. ვიკოლაშვილი, მასწავლებლები თ. ფიჩხაძე, ი. მურდულია) 13-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 5-მა; 31-ე სკოლიდან (დირექტორი მ. გველესიანი, მასწავლებელი ს. კვერნაძე) 8-მ, ხუთოსანმა 1-მა, ოთხოსანმა 5-მა;

გეგეჭკორის რაიონის მე-2 სკოლიდან (დირექტორი ე. ვახსონია, მასწავლებელი მანტუა) 6-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 3-მა;

ვანის რაიონის შუა გორას სკოლიდან (დირექტორი ა. ენუქიძე, მასწავლებელი შ. გიორგაძე) 7-მა, ხუთოსანმა 1-მა, ოთხოსანმა 5-მა, ქვედა გორიდან (დირექტორი ბ. საკანდელიძე, მასწავლებელი ვ. გიორგაძე) 4-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 1-მა. სულორის სკოლიდან (დირექტორი შ. დვალისვილი, მასწავლებელი ვ. მყავანიძე) 8-მ,

ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 3-მა, ისრიეთის სკოლიდან (დირექტორი მ. მაღლაკელიძე, მასწავლებლები თ. მაღლაკელიძე, შ. დვალისხელიძე) 8-მ, ხუთოსანმა 4-მა, ოთხოსანმა 4-მა, ვანის გ. ტაბიძის სახელობის სკოლიდან (დირექტორი თ. ლასხიშვილი, მასწავლებლები ლ. ტაბიძე, ე. გიორგაძე) 10-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 6-მა;

ზეცტაფონის რაიონის ზოვრეთის სკოლიდან (დირექტორი ა. კვეტენაძე, მასწავლებელი რ. კუბატაძე) 4-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 2-მა;

ქალაქ ზუგდიდის მე-2 სკოლიდან (დირექტორი დ. მაქაცარია, მასწავლებლები ლ. გუბელაძე, მ. ციშიტია) 8-მ, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 4-მა; მე-8 სკოლიდან (დირექტორი ს. ვეკუა, მასწავლებელი ვ. ყუფუნია) 4-მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 1-მა, მე-11 სკოლიდან (დირექტორი ი. ჩიქვანავა, მასწავლებლები კ. თოლორაია, ლ. მაქაცარია) 4-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 2-მა;

ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის სკოლიდან (დირექტორი ზ. გულბანი, მასწავლებლები ე. ნაკანი, ს. გულბანი) 5-მა, ხუთოსანმა 4-მა, ოთხოსანმა 1-მა;

მხარაძის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ხ. ხავთასი, მასწავლებელი ქ. ნაფეტვარიძე) 15-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 11-მა, მე-2 სკოლიდან (დირექტორი მ. ოკუჯავა, მასწავლებლები ლ. იმედაშვილი, მ. მდინარაძე, მ. მემარნიშვილი) 20-მა, ხუთოსანმა 4-მა, ოთხოსანმა 12-მა; კონკათის სკოლიდან (დირექტორი გ. ჭანტურია, მასწავლებლები მ. ძებნაძე, პ. მუჯირი) 5-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 3-მა,

მესტიის რაიონის ბუბურის სკოლიდან (დირექტორი ა. ჩხვიძინი, მასწავლებლები ც. ჩართოლანი, გ. მარგიანი, ვ. გვიჩიანი) 4-მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 1-მა;

თერჯოლის რაიონის ბარდუბნის სკოლიდან (დირექტორი ი. კაჭარავა, მასწავლებლები ე. ბარდაველიძე, ნ. რობაქიძე) 7-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 4-მა, თერჯოლის სკოლიდან (დირექტორი მ. შეყრილაძე, მასწავლებელი ო. შეყრილაძე) 14 მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 11-მა;

ცაგერის რაიონის დ. ცაგერის სკოლიდან (დირექტორი ს. კობალიანი, მასწავლებლები გ. ცხვედიანი, შ. კობალიანი, ე. ჯიქია) 8-მ, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 5-მა;

ცხაკაიას 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ნ. კაკაშვილი, მასწავლებლები თ. ქირია, ვ. ძაავა) 13-მა, ხუთოსანმა 2-მა,

ოთხოსანმა 9 მ, მე-2 სკოლიდან (დირექტორი ა. კვიციანი, მასწავლებლები ქ. ფხაკაძე, ე. დარასელია) - 8-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 5-მა, მე-5 სკოლიდან (დირექტორი ა. ბერაია, მასწავლებლები ო. ოჩივაძე, მ. თოდუა) 5-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 1-მა;

წალენჯიხის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ვ. მიქაევა, მასწავლებლები ს. ცინცაძე, ს. ფიფია, ლ. დავითაია) 6-მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 3-მა;

ჩხოროწყუს 1-ლი სკოლიდან (დირექტორი მ. მალანია, მასწავლებლები ს. თოლორაძე, ა. ჩალივაძე) 10-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 6-მა;

ტყვიბულის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი პ. კულაშვილი, მასწავლებლები ე. ქარქაშაძე, ვ. გოგოშიძე) 15-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 9-მ, მე-2 სკოლიდან (დირექტორი ი. ქარქაშაძე, მასწავლებლები ვ. ვაბრიჭიძე, გ. აბულაძე) 16-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 12-მა, მე-5 სკოლიდან (დირექტორი ლ. ძოწენიძე, მასწავლებელი ე. ფორჩხიძე) 6-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 4-მა; მე-6 სკოლიდან (დირექტორი რ. მხეცაძე, მასწავლებლები ნ. ჩიხრაძე, ნ. მერკვილაძე, დ. სულამანიძე) 13-მა, ხუთოსანმა 5-მა, ოთხოსანმა 7-მა;

ახმეტის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ნ. პეტრიაშვილი, მასწავლებლები ო. მ. მულაშვილი, ვ. გაგლოვეი, ფ. ეჯიბიძე) 9-მ, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 6-მა;

გარდაბნის რაიონის მარტყოფის სკოლიდან (დირექტორი ფ. ილურიძე, მასწავლებლები მ. კახურაშვილი, ვ. ბიჭიაშვილი) 7-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 5-მა, ტაბახმელის სკოლიდან (დირექტორი ვ. იაშალაშვილი, მასწავლებლები შ. შარაბიძე, ნ. ქუაძე, ვ. ამირანაშვილი) 6-მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 3-მა;

გურჯაანის რაიონის ველისციხის სკოლიდან (დირექტორი ი. გურგენიშვილი, მასწავლებელი ლ. ბარდიშვილი) 7-მა, ხუთოსანმა 1-მა, ოთხოსანმა 6-მა;

ღუშეთის რაიონის ანანურის სკოლიდან (დირექტორი შ. მაჭავარიანი, მასწავლებელი ა. ჩოხელი) 2-მა ხუთოსანმა;

ქარელის რაიონის რუისის მე-2 სკოლიდან (დირექტორი ნ. ნასყიდაშვილი, მასწავლებელი ლ. ბუზიაშვილი) 5-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 2-მა;

სიღნაღის რაიონის ბოდბის სკოლიდან (დირექტორი მ. ჯაბაშვილი, მასწავლებელი წ. ბოქოლაშვილი) 8-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 6-მა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

კასპის მე-2 სკოლიდან (დირექტორი ი. გუგულაშვილი, მასწავლებლები ო. ჩიტიშვილი, ნ. ფარემუხაშვილი) 7-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 5-მა;

ყვარლის მე-2 სკოლიდან (დირექტორი გ. ღლონტი, მასწავლებლები თ. კაკულია, მ. ცუცილაშვილი) 7-მა, ხუთოსანმა 3-მა, ოთხოსანმა 3-მა;

ცხინვალის 1-ლი სკოლიდან (დირექტორი ა. ქრისტესაშვილი, მასწავლებელი დ. მარგივეი) 7-მა, ხუთოსანმა 2-მა, მე-6 სკოლიდან (დირექტორი ვ. აბაევი, მასწავლებელი ჩ. ასლამაზოვა) 5-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 3-მა.

ბათუმის მე-17 სკოლიდან (დირექტორი ნ. გორგილაძე, მასწავლებელი გ. გოგობერიძე) 10-მა, ხუთოსანმა 1-მა, ოთხოსანმა 6-მა;

ქობულეთის მე-3 სკოლიდან (დირექტორი შ. შავიშვილი, მასწავლებელი ნ. ინასარიძე) 3-მა, ხუთოსანმა 2-მა, ოთხოსანმა 1-მა, მე-6 სკოლიდან (დირექტორი შ. დოლიძე, მასწავლებელი უ. მეგრელია) 6-მა, ხუთოსანმა 1-მა, ოთხოსანმა 4-მა.

მისაღები გამოცდების დროს სუსტი მომზადება გამოამყვანეს 1975-76 სასწავლო წელს კურსდამთავრებულმა მედალოსნებმა: სამტრედიის მე-3 სკოლიდან (დირექტორი მ. ლორთქიფანიძე, ქიმიის მასწავლებელი მ. ნაცვლაშვილი), ქ. თბილისის 23-ე სკოლიდან (დირექტორი რ. ნინუა, მასწავლებელი ლ. კუხიანიძე); წინა წლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ მედალოსნებისაგან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღეს ლენტეხის სკოლა-ინტერნატიდან (დირექტორი ა. ინხანი, ქიმიის მასწავლებელი ლ. ხაბუღიაძე, 1970 წელი), ყვარლის რაიონის შილდის სკოლიდან (დირექტორი თ. თევდორაშვილი, ფიზიკის მასწავლებელი ლ. ქევიციანი, 1972 წელი), სიღნაღის სკოლიდან (დირექტორი ი. შიშიაშვილი, ფიზიკის მასწავლებელი ლ. ვარამაშვილი, 1972 წელი), ქარელის 1-ლი სკოლიდან (1966 წელი), ქ. თბილისის 53-ე სკოლიდან (1953 წელი) და სხვ.

სკოლებში კვლავ გრძელდება ყოველდღიური მოუკმენელი მდგომარეობა, როდესაც ზოგიერთი დირექტორი საკმაოდ ყურადღებას არ აქცევს სასკოლო დოკუმენტების დადგენილი წესით შეესაბამებულ



ვისა და გაცემის საქმეს, ქ. თბილისის მე-20 (დირექტორი ს. გველე-  
სიანი), მე-60 (დირექტორი ს. მეღვედევა), 128-ე (ყოფ. დირექტორი  
ე. სტებანოვი), ქუთაისის 31-ე (დირექტორი მ. გველქანიძე) მე-2  
(ყოფ. დირექტორი ა. გოგელია), წალკის რაიონის ჯინისის (დირექ-  
ტორი ვ. ოლიჯვეი), წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის (ყოფ.  
დირექტორი ბ. ბერიძე) და სხვა საშუალო სკოლების დირექტორებ-  
მა საშუალო განათლების ატესტატები გასცეს ისე, რომ მათში ვარკ-  
ვევით არ იყო დასმული სკოლის ბეჭედი, არ იყო დირექტორის,  
დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მეთაობის  
დარგში და სამი მასწავლებლის ხელმოწერა, ან ხელმოწერა გაკეთე-  
ბული იყო სხვადასხვა ფერის მელნით, არ იყო მოსწავლის სახელი და  
მამის სახელი, დაბადების წელი, სწორად შეტანილი ნიშანი, რის  
გამოც უმაღლესი სასწავლებლის მიმღებმა კომისიებმა უარი უთხრეს  
სკოლების კურსდამთავრებულებს საბუთების მიღებაზე.

იმის გამო, რომ ატესტატებისა და მოწმობების შევსების საქ-  
მეს ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება,  
1974—75 სასწავლო წელს, არასწორად შევსების გამო, შეცვლილ  
იქნა 600-ზე მეტი საშუალო განათლების ატესტატი.

განათლების სამინისტროდან დაგვიანებით გაიტანეს საშუალო  
განათლების ატესტატები და რვა კლასის დამთავრების მოწმობები  
ყაზბევის, თერჯოლის, ასპინძის, ლენტეხის რაიონების სახალხო  
განათლების განყოფილებებმა.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის  
15 ნოემბრის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ  
სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ  
რესპუბლიკაში არ აქცევენ სათანადო ყურადღებას სოფლის სკოლის  
კურსდამთავრებულ ახალგაზრდებიდან უმაღლეს პედაგოგიურ სასწავ-  
ლებლებში ჩასარიცხ კანდიდატების შერჩევას. ასეთი მდგომარეობა  
1975 წელსაც გაგრძელდა. ბათუმის პედინსტიტუტის გარდა ვერც-  
ერთმა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ვერ შეასრულა სოფლის ახალ-  
გაზრდობის კონკურსგარეშე ჩარიცხვის გეგმა. 219 გეგმიურ ადგილზე  
ჩარიცხულ იქნა მხოლოდ 64 კაცი.

ბოლნისის, ზოგდანოვკის, ლენტეხის, ქარელის, ჩოხატაურისა და  
ზოგიერთი სხვა რაიონის განათლების განყოფილებებმა ან საერთოდ  
არ მიაღწინეს ახალგაზრდები, ან დაშვებულნი იყვნენ მხოლოდ

ბით მცირე რაოდენობით მიავლინეს ახალგაზრდები პედაგოგიურ სტიტუტებში.

1974—1975 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ში გადასაყვანი, გამოსაშვები, საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი და 1975 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

ა) კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ 1974—1975 სასწავლო წელს ჩატარებული გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი და 1975 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მიიღწიონ იმას, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები წარმოდგენდეს არა მარტო მოსწავლის ცოდნის, არამედ, აგრეთვე, სკოლის ხელმძღვანელთა და თითოეული პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის შემოწმებას;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობა გარდაქმნან იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში და სკოლის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ სხვა დადგენილებებში;

გ) უზრუნველყონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ამაღლება და ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც საშუალებას მისცემენ პედაგოგიურ კოლექტივებს, დაძლიონ შაზლონი და ერთფეროვნება სწავლებაში და იდეურ-აღმზრდელობით საქმიანობაში. მიიღწეული იქნეს ის, რომ X ხუთწლედი მთლიანად და მიმდინარე 1976 წელი გადაიქცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლების წელიწადად, ყოველი გაკვეთილი—მოსწავლე ახალგაზრდობაში კომუნისტური ზნეობის, პირადი ღირსების,

მაღალი მოვალეობისა და მოქალაქეობრივა პასუხისმგებლობის ვარიანტების დანერგვის გაკვეთილად;

დ) შექმნან სკოლებში პირობები; რომ ყველა მასწავლებელს სისტემატურად მუშაობდეს თავისი პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ეცნობოდეს ყველა მნიშვნელოვან სიახლეს საკუთარ სპეციალობაში, სისტემატურად კითხულობდეს მეთოდურ და მეცნიერულ ლიტერატურას, მაღალ დონეზე ატარებდეს გაკვეთილებს, მი-  
აღწიოს მოსწავლეთა მიერ ახალი სასწავლო პროგრამების მთლიან და მაღალხარისხიანად ათვისებას ინდივიდუალური მუშაობის გზით; სისტემატურად გაუწიონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს დახმარება;

ე) აამაღლონ მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა შეფასების სიზუსტისადმი, რათა ისინი კეთილსინდისიერად, მოვალეობის სრული შეგნებით აფასებდნენ მოსწავლეთა ცოდნას;

ვ) მოსწავლეთა ცოდნაში გამოვლინებული ხარვეზების სალიკვიდაციოდ 1975—76 სასწავლო წლის დამლევამდე შეისწავლონ ამ ბრძანებისა და სკოლების სამმართველოს მოხსენებით ბარათში დასახელებული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და 1976 წლის 1 ივნისამდე განხილვის შედეგად აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს;

ზ) მკაცრი კონტროლი დააწესონ სასკოლო დოკუმენტების შევსების, შენახვისა და დაცვის საქმეზე. საჭირო ზომები მიიღონ იმ სკოლების დირექტორების მიმართ, რომლებიც სათანადო გულისყურით არ ეკიდებიან ამ მეტად სერიოზულ სასკოლო საქმიანობას.

2. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის საშუალო სკოლის დირექტორებს: მ. ხუციშვილს (63-ე), მ. მაკასარიშვილს (64-ე), ს. გველესიანს (მე-20), ლ. ვაორობიოვას (82-ე), ა. სანდუხაძეს (ქუთაისის მე-2), რ. ცინცაძეს (ქუთაისის მე-8), შ. დვალიშვილს (ვანის რაიონის სულორის), ბ. მაღლაკელიძეს (ვანის რაიონის ისრითის), ს. ვეკუას (ზუგდიდის მე-8), მ. ოკუჯავას (მახარაძის მე-2), ა. ჩხვიმიანს (მესტიის რაიონის ჭუბერის), მ. შეყრილაძეს (თერჯოლის), ს. კობა-

ლიანს (ცავერის), რ. მხეცაძეს (ტყიბულის მე-6), ვ. იაშაღაშვილს (გარდაბნის რაიონის ტაბახმელის) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელად გამოცხადდა როლისა და კურსდამთავრებულთა დაბალი მომზადების გამო საშუალო სკოლის დირექტორებს: ლ. პუჩკოვას (37-ე), თ. ჭანტურიშვილს (46-ე), ნ. დევდარიანს (24-ე), გ. თუმანიშვილს (27-ე), ი. ხაჩიძეს (მე-19), ლ. მგალობლიშვილს (მე-2 გახანგრძლივებული), რ. გურგენიძეს (130-ე), ა. თხინვალელს (140-ე), ა. კვიციანიძეს (მე-8), კ. ლოლაძეს (142-ე), მ. გოგუაძეს (112-ე), კ. სმენინკოს (ქუთაისის მე-9), ტ. ხაბურზანიას (ქუთაისის 26-ე), მ. გველესიანს (ქუთაისის 31 ე), ა. ენუქიძეს (ვანის რაიონის შუა გორას), თ. ლასხიშვილს (გ. ტაბიძის სახელობის ვანის), ა. კვეტენაძეს (ზესტაფონის რაიონის ზოვრეთის), ი. ჩიქვანიას (ზუგდიდის მე-11), გ. ჭანტურიას (მახარაძის რაიონის კონჭკათის), თ. კაჭარავას (თერჯოლის რაიონის ბარდუხნის), ნ. კაკიაშვილს (ცხაკაიას 1-ლი), ა. კვიციანიძეს (ცხაკაიას მე-2), ა. ბერაიას (ცხაკაიას მე-5), ფ. ტუცუაძეს (წყალტუბოს რუსთლი), მ. მაღანიას (ჩხოროწყუს 1-ლი), პ. კულაშვილს (ტყიბულის), ი. ქარქაშაძეს (ტყიბულის მე-2), ლ. ძოწენიძეს (ტყიბულის მე-5), ფ. ილურიძეს (გარდაბნის რაიონის მარტყოფის), ი. გურგენაშვილს (გურჯაანის რაიონის ველისციხის), შ. შაჭვარიანს (დუშეთის რაიონის ანანურის), ს. ნასყიდაშვილს (ქარელის რაიონის რუისის მე-2), მ. ჯაბაშვილს (სიღნაღის რაიონის ბოდბე), ი. გუგულაშვილს (კასპის მე-2), ა. ქრისტესაშვილს (ცხინვალის 1-ლი), ვ. აბაევს (ცხინვალის მე-6), ნ. ცხოვრებოვს (ცხინვალის მე-7), ვ. კოტუას (ოჩამჩირის 1-ლი), ნ. გორგილაძეს (ბათუმის მე-17), შ. შავიშვილს (ქობულეთის 1-ლი), შ. დოლიძეს (ქობულეთის მე-6) გამოეცხადოთ საყვედური.

4. საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის:

მათემატიკის მასწავლებლებს: თ. ფიჩხაძეს (ქუთაისის მე-19), შ. გიორგაძეს (ვანის რაიონის შუა გორას), ვ. გიორგაძეს (ვანის რაიონის ქვედა გორას), რ. კუპატაძეს (ზესტაფონის რაიონის ზოვრეთის), ე. ყუფუნიას (ზუგდიდის მე-8), ე. ნაკანს (ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის), მ. მემარინაშვილს (მახარაძის მე-2), ვ. გვიჩიანს (მესტიის რაიონის ჭებერის), ნ. რობაქიძეს (თერჯოლის რაიონის ბარდუხნის), თ. შეყრილაძეს (თერჯოლის), თ. მამულაშვილს (ანშეტის 1-ლი), უ. მეგრელიძეს (ქობულეთის მე-6);

ფიზიკის მასწავლებლებს: ლ. ხონელიძეს (130-ე), ვ. ლომთაძეს (ქუთაისის მე-2), თ. მაღლაკელიძეს (ვანის რაიონის ისრითის), ს. გულბანს (ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის), ქ. ნაფეტვარიძეს (მაგისტრატის 1-ლი), მ. მდინარაძეს (ძაზარაძის მე-2), ქ. ფხაკაძეს (ცხაკაძის მე-2), ვ. ფორჩხიძეს (ტყიბულის მე-5), ვ. გაგლოევს (ახმეტის 1-ლი), ვ. ბიკიაშვილს (გარდაანის რაიონის მარტყოფის), ა. ჩხიკელს (დუშეთის რაიონის ანანურის), ნ. ბოჭოლაშვილს (სიღნაღის რაიონის ბიდაეს), რ. კვარაცხელიას (ოჩამჩიოის 1-ლი);

ქიმიის მასწავლებლებს: დ. ჭყონიას (მე-2), კ. კუჭავას (24-ე); ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ნ. ვასაძეს (ქუთაისის მე-8);

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ნ. ასლამაზოვას (ცხინვალის მე-6), მ. გაგლოევას (ცხინვალის მე-7);

ისტორიის მასწავლებლებს: ვ. შკაევაძეს (ვანის რაიონის სულორის), ლ. მუზიაშვილს (ქარელის რაიონის რუისის მე-2), გ. გოგბერიძეს (ათუმის მე-17);

უცხოური ენების მასწავლებლებს: მ. მანტუას (გეგეჭკორის მე-2), მ. ჩიხრაძეს (ტყიბულის მე-5), მ. ცუკლიაშვილს (ყვარლის მე-2) გამოეცხადოთ საყვედური.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის ვანის რაიონის ქვედა გორასა და წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორები ბ. საკანდელიძე და ვ. მიქავა 1976 წელს მკაცრად არიან დასჯილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

6. რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებსა და საშუალო სკოლების დირექტორებს დაეკისრათ პერსონალური პასუხისმგებლობა 1976 წელს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობიდან უმაღლეს პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩასარიცხ კანდიდატთა შერჩევისა და მივლინების საქმეში.

7. დაევალოთ ბრძანებაში აღნიშნულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს, უახლოეს მომავალში მოიწვიონ პედაგოგიური საცდების სნდომედი, სადაც მკაცრი მსჯელობა იქონიონ გასული 1974—1975 სასწავლო წლის შედეგებისა და 1975 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შედეგებზე, დასაბონ და განახორციელონ ღონისძიებები დაშვებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) კადრების სამმართველოსთან (ამხ. ი. კვაჭაძე) ერთად საქმე  
რო ორგანიზაცია გაუკეთოს პედაგოგიურ ინსტიტუტებში 1976 წელს  
კონკურსგარეშე ჩასარიცხად სოფლის ახალგაზრდობის შერჩევის  
მომზადებისა და ჩარიცხვის საქმეს;

გ) დროულად შეადგინოს საგამოცდო თემები მშობლიურ ენასა  
და ლიტერატურაში, ამოცანები და მაგალითები მათემატიკაში და  
დაწესებულ ვადებში მოამარაგოს პაკეტით სახალხო განათლების  
ადგილობრივი ორგანოები და სკოლები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
1976 წლის 30 მარტის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1976 წლის 16 აპრილის ბრძანება № 392

სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე ქ. თბილისისა და მისი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა განჯცების ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 6 მაისის № 584 ბრძანების „თბილისის სახალხო განათლების განყოფილებს ს მუშაობის შესახებ“ შექმნე

გავეცანი რა შემოწმების მასალებს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე ქ. თბილისისა და მისი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ როგორც ქ. თბილისის, ასევე მისი რაიონების განათლების განყოფილებები ძირითადად დონისძიებებს ატარებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდის საქმის შემდგომი სრულყოფისათვის.

სასარგებლო საქმიანობას ეწევა ქ. თბილისის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტი: 1975 წლის განმავლობაში სემინარი ჩატარდა 1000-მდე მუშაკს, კონსულტაციაზე გატარდა—715. მ/წლის მარტში ქ. თბილისში ჩატარდა პედაგოგიური კითხვა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს პირველი მაისის, კალინინის, ორჯონიკიძისა და საქარხნო რაიონებმა. ყურადღება ექცევა სკოლამდელ მუშაკთა საერთო პედაგოგიური და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას; გამგეობი და აღმზრდელეობი ჩაბმული არიან პარტიული განათლების ქსელში და სახალხო უნივერსიტეტებში. კარგი მუშაობით გამოირჩევიან ორჯონიკიძისა და ოქტომბრის რაიონების სახალხო უნივერსიტეტები.

სკოლამდელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა, მისი არსებო-

ბის პერიოდში (1975 წლის მარტიდან დღემდე) 500-ზე მეტმა გემმა და აღმზრდელმა გაიარა გადასამზადებელი კურსები.

სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ საკითხებს პერიოდულად ვადასტურებთ. ლავენ მშრომელთა დებუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს ლენინის, ორჯონიკიძისა და კალინინის რაისაბჭოს აღმასკომები და სახავენ საჭირო ღონისძიებებს სკოლამდელი აღზრდის განვითარების საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ სხვა უწყებებსა და საწარმო-დაწესებულებებს. ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებათა კაბიტალური და მიმდინარე რემონტისათვის 1975 წელს შეფი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ იქნა 342.465 მანეთი.

ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებათა ერთი ნაწილი მუშაობის შინაარსით პასუხობს მოთხოვნებს. ორჯონიკიძის რაიონის № 74 ბავა-ბალისა და კალინინის რაიონის № 13 საბავშვო ბაღის გამგეები ე. გუბელაძე, თ. კავაძე ენერგიულად და პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობენ. ამ დაწესებულებებში შექმნილია პირობები სასწავლო პროცესის ნორმალურად ჩატარებისა და აღმზრდელობითი მუშაობის გაშლისათვის. ახლდამწყებთა შორის დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს ოქტომბრის რაიონის № 3 და კალინინის რაიონის № 16 საბავშვო ბაღების გამგეების ზ. მედელიშვილისა და ლ. ლოლობერიძის მუშაობა. № 74 ბავა-ბალისა და № 13 საბავშვო ბაღის აღმზრდელები ნ. კაკაბაძე, ნ. თევზაძე, ე. ოკოვეა, ე. კაბანაძე გამოირჩევიან საქმისადმი სიყვარულითა და ორგანიზებულობით, კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ამასთან, ქ. თბილისისა და მისი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა სკოლამდელ დაწესებულებებზე ხელმძღვანელობის საქმეში შეინიშნება ნაკლოვანებანი, რაც აფერხებს ამ დაწესებულებათა საქმიანობასა და ხელს უშლის საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას. თბილისის განათლების განყოფილება წლიურ სამუშაო გეგმაში მცირე რაოდენობით ითვალისწინებს საკითხებს სკოლამდელი აღზრდის სფეროდან—1975 წლის სამუშაო გეგმის 52 საკითხიდან მხოლოდ 3 ეხება სკოლამდელ აღზრდას, 1976 წლის 47 საკითხიდან—2; 1975 წლის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდის შესახებ არც ერთი საკითხი არ განხილულა სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე.

ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ადაენენ სამუშაო გეგმებს ქალაქის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორები, გეგმიური საკითხების შესრულებაც ცალ-ცალკე მიმდინარეობს, რაც უწყებს ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებათა ორ

2. კრებული

ქ. ბარკის ხს. ს.ჭ. სსრ.  
სახელმწიფო სტატისტიკის  
ბიუროს განყოფილება

F 4241



ნაწილად გათიშვას, იშვიათად ხდება რომელიმე ინსექტორის მიერ შესწავლილი საკითხის ქალაქის მასშტაბით განზოგადება.

ნაკლოვანებანი შეინიშნება სადირექტივო ორგანოებიდან ბულ დოკუმენტებზე რეაგირების საქმეში. ზოგჯერ ადგილს აქვს დაკვიანებით შესრულებას. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 17/X № 788 ბრძანებით ქ. თბილისის განათლების განყოფილებას დავალებული ჰქონდა № 9 ბავა-ბალის გამგისა და პედაგოგიური პერსონალის მუშაობის შემოწმება და საჭირო ღონისძიებათა გატარება, შემოწმების დროისათვის, 1976 წლის თებერვალში, საკითხი შესრულებული არ იყო. ასევე, განათლების სამინისტროს 1974 წლის 22/X № 46 ბრძანება სკოლისათვის მომზადების შესახებ განათლების განყოფილებაში მიღებული აქვთ „გასაცნობად“, მაშინ როდესაც ამ ბრძანებით განათლების განყოფილებებს მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება ეკისრებოდათ. დავიანების შემთხვევას ადგილი ჰქონდა კიროვის რაიონშიც. განათლების სამინისტროს 1975 წლის 10/X № 02-1—4196/10-12 წერილი ამ რაიონის განათლების განყოფილების მიერ 1976 წლის 23/II სკოლამდელ დაწესებულებებს გაცნობილი არ ჰქონდათ.

როგორც შემოწმების, აგრეთვე სადირექტივო ორგანოებიდან მასალების სკოლამდელი დაწესებულებებისათვის გაცნობა ძირითადად წარმოებს თათბირების საშუალებით. განსახილველად ხშირად თავს იყრის დიდი რაოდენობისა და მოცულობის საკითხები, რაც იწვევს თათბირების გაჭინურებასა და გამგეების სამუშაოდან მოცდენას. მაგალითად, კიროვის რაიონის განათლების განყოფილებაში 1975 წლის 18/XII გამგეობის თათბირზე განხილულ იქნა 10 საკითხი, 1976 წლის 21/X-ს—12 საკითხი.

ნაკლოვანებანი შეინიშნება ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კომიტეტის მუშაობაში: მოუწესრიგებელია დოკუმენტაცია, არ ეწყობა ახალი მეთოდური ლიტერატურის განხილვა, დაბალია ზოგიერთი მეთოდისტიკის თეორიული მომზადების დონე (მხოლოდ ერთი განყოფილება ვიწრო საზღვრებით შემოიფარგლება). დაქუცმაცებულია მეთოდისტების შტატები, მათი უმრავლესობა მუშაობს შეთავსებით (ზოგიერთი 3 ადგილზე), ის მეთოდისტებიც კი, რომლებსაც თითო განაკვეთი აქვთ კაბინეტში, კვირაში, ნაცვლად 5-სა, 2,5 დღ. მუშაობენ. არასრულყოფილია მეთოდისტიკ. ხარაძის მიერ წარმოდგენილი ნარკვევი მასალა № 83 ბავა-ბალის გამგის მუშაობის

შემოწმების შესახებ; მოხსენებითი ბარათი სქემატურია, არ აქვს დართული პრაქტიკული რეკომენდაციები.

სუსტია განათლების განყოფილებათა დახმარება სხვა უწყებების სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობაზე. ამის შედეგად ადგილი აქვს სხვა უწყების სკოლამდელ მუშაკთა მეთოდგაერთიანებებისა და მეთოდკაბინეტების ცალკე გამოყოფის ცდებს.

ნაკლოვანებანი შეინიშნება კადრების შერჩევა-დანიშვნის საქმეში. ადგილი აქვს აღრიცხვაზე აყვანილ მუშაკთა რიგის დარღვევას. ჯერ კიდევ არაა პრაქტიკაში გამოყენებული კადრების აღრიცხვის ბარათი, რომელიც განათლების სამინისტრომ დაუგზავნა განათლების განყოფილებებს.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა შორის შეუფერებელ შენობებში და შევიწროებულ პირობებში უხდება მუშაობა №№ 3, 16, 81 საბავშვო ბაღებსა და ვაშლიჯვარას (№ 70) ბაგა-ბაღს.

იმის გამო, რომ ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება ობერატულ კონტროლს ვერ ახორციელებს სკოლამდელ დაწესებულებებზე, გამგეთა ერთი ნაწილი არასწორად იყენებს შრომითი შინაგანაწესით მინიჭებულ უფლებას—„გამგის სამუშაო დღე არანორმირებულია“ და სხვადასხვა მიზეზით სისტემატურად ტოვებს საბავშვო ბაღს, მაშინაც კი, როცა აუცილებელია მისი ადგილზე ყოფნა. შემოწმების დღეს 10 სკოლამდელი დაწესებულებიდან 5-ის გამგე არ იყო ადგილზე.

ზოგიერთ საბავშვო ბაღში შემოწმებით გამოვლინდა დღის რეჟიმის დარღვევის ფაქტი: ვაშლიჯვარას ბაგა-ბაღში (კამგე დ. სოხაძე) ბავშვები ნახევარი საათის განმავლობაში ელოდნენ სადილს. ამ ბაგა-ბაღის სამზარეულოში არ იყო დაცული სისუფთავე. ზოგან არ გამოიყენეს ჰაერზე გასეირნებისათვის დღის რეჟიმით გათვალისწინებული დრო, ბავშვები ჩაკეტილ ოთახებში ისხდნენ (შემოწმებულთაგან მხოლოდ ოქტომბრის რაიონის № 3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები გაიყვანეს ეზოში). დარღვევებს ჰქონდა ადგილი №№ 81, 89, 94 საბავშვო ბაღების კვების ბლოკში (გამგეები: ე. ჯანაშია, ლ. გვიჩია, ი. ბერაძე).

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისისა და მისი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლამდელი დაწესებულებებისადმი;

— სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე სისტემატყვევანად განიხილონ საკითხები სკოლამდელი აღზრდის შესახებ;

— გააძლიერონ დახმარება და მეთოდური ხელმძღვანელობა სხვა უწყების სკოლამდელი დაწესებულებებისადმი;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კადრების სწორად შერჩევა-დანიშვნას როგორც განათლების, ისე სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში;

— პირადად გაიცნონ და დაამტკიცონ სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორის (მეთოდისტის) სამუშაო გეგმა, მკაცრი კონტროლი დააწესონ მის შესრულებაზე და თითოეული საკითხის შემოწმების შედეგებზე წარმოდგენილი მასალა განიხილონ პრინციპულ დონეზე;

— განუზრვლად იხელმძღვანელონ სადირექტივო ორგანოებიდან მიღებული ბრძანებებით, განკარგულებებით, სადირექტივო წერილებით და მათ საფუძველზე ჩაატარონ საჭირო ღონისძიებები. დროულად, დაწესებულ ვადებში შეასრულონ დავალებანი;

— უზრუნველყონ სახელმძღვანელო დოკუმენტების დროულად დაგზავნა ადგილებზე და მათ შესრულებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

2. ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე):

— სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორებს შორის მოახდინოს ფუნქციების განაწილება, თითოეულ მათგანს პასუხისმგებლობა დააკისროს გაპიროვნებული საკითხების შესრულებაზე;

— თბილისის სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტის თითოეულ მეთოდისტს კანონის ფარგლებში დაუტოვოს შეთავსების უფლება;

— არსებითად გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლამდელი დაწესებულებებისადმი, უაჩლოეს დროში აღმოფხვრას ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი;

— გატარებული ღონისძიებების შესახებ განათლების სამინისტროს აცნობოს 1976 წლის ბოლომდე.

3. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) გააძლიეროს დახმარება „საქალაქო“ (სარაიონო) მეთოდური კაბინეტების (მეთოდისტების) მუშაობაზე.

4. თბილისის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრ-

დის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. საგინაძე) მეთოდისტებს შეუქმნის თავის თავზე მუშაობისათვის საჭირო პირობები, პრაქტიკაში დანერგოს მეთოდური ლიტერატურის საერთო განხილვა, აღადგინოს მათი ციური მუშაობა.

5. ოქტომბრის, კალინინის, კიროვის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ქ. ჭანიშვილი, ე. ძნელაძე, ე. გურსკაია) მიიღონ ზომები №№ 3, 16, 81 საბავშვო ბაღების გაფართოებისათვის; აღნიშნული საბავშვო ბაღების შენობებიდან დაწესებულებებისა და მობინადრეების გაყვანის შესახებ საკითხი დააყენონ შესაბამისი ორგანოების წინაშე.

6. ორჯონიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. რ. სურგულაძე) იმსჯელოს ვაშლიჯგარას (№ 70) ბაგა-ბაღის შესახებ და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით გაატაროს საჭირო ღონისძიებები. მიღებული ზომების შესახებ განათლების სამინისტროს აცნობოს მ/წლის 1 ნოემბრამდე.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1976 წლის სექტემბრამდე გაითვალისწინოს მეთოდისტის თითო საშტატო ერთეულის დამატება ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტისა და ლენინის რაიონის განათლების განყოფილებისათვის.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ კიროვისა და ოქტომბრის რაიონების განათლების განყოფილებათა მიერ გატარებულია ღონისძიებები №№ 81, 89, 94 საბავშვო ბაღების კვების ბლოკში საქმიანობის მოწესრიგებისათვის.

9. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა მუშაობაში იხელმძღვანელონ ამ ბრძანებით და ანალოგიურად გადასინჯონ თავიანთი საქმიანობა.

10. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებას (ამხ. გ. აბდუშელიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 15 აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1976 წლის 3 მაისის ბრძანება № 439

იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამტკიცების შესახებ, რომლებშიც უფროსკლასელებს მოსწავლეთაგან უნდა მომზადდეს ავტომობილის მძღოლები

საშუალო სკოლების უფროსკლასელებს (IX—X) მოსწავლეთაგან ავტოსაქმის დაუფლებაში ხელის შეწყობის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. საშუალო სკოლების უფროსკლასელებს (IX—X) მოსწავლეთაგან ავტომობილის მძღოლების მოსამზადებლად დამტკიცდეს:

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ვაგრის რაიონის კოლხიდის, გალის რაიონის ქუბურხინჯის, ქვემო ბარდების, საბერიოს, გუდაუთის რაიონის ახალსოფლის 1-ლი, ახალსოფლის მე-2, ლიხნის, გულრიფშის რაიონის გულრიფშის, მერხეულის, ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდლის, ატარა არმიანსკის, კუტოლსკის, სოხუმის რაიონის ეშერის, გუმისთის, თავისუფლების სკოლები;

აჭარის ასს რესპუბლიკის ქედის რაიონის ცხმორისის, ქობულეთის რაიონის ციხისძირის, სოფ. ქობულეთის, შუახევის რაიონის ქვანის, ხულოს რაიონის ოქტომბრის, ხიხაძირის, დიოკნისის, ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის, მეჯინისწყლის, თხილნარის სკოლები;

საშხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის მე-2, ცხინ-  
ვალის რაიონის ქსუისის, ჯავის რაიონის ჯავის, კვაისის;

ქუთაისის 1-ლი; ქიათურის რაიონის ხალიფაურის, სვერდლოვსკის  
ბულოს რაიონის ორბირის; აბაშის რაიონის ქალოზნის, მანუშის  
ახ ლქალაქის რაიონის ბეჟანის, აზავრეთის, ზაბის; ასპინძის რაიონის  
ღამალის; ახმეტის რაიონის აწყურის, ახალციხის რაიონის ზიკილის;  
ბოგლანოვკის ქვემო ბოლნისის; ბორჯომის რაიონის ახალ-  
ღაბის; ვანის რაიონის ქვედა გორას, სალხინოს; გარდაბნის რაიონის  
მარტყოფის, სართიჭალის 1-ლი, ვაზიანის; გეგეჭკორის რაიონის ინ-  
ჩხურის, სალხინოს, თამაკონის; გორის რაიონის ზერტის, ბერშეთის,  
ბერთუბნის, ტირაშისის; გურჯაანის რაიონის ჭნდრის; დმანასის რაი-  
ონის ზემო ორუზმანის, ამბლოს; დუშეთის რაიონის ყინვალის; ზეს-  
ტაფონის რაიონის კვალიათის, პირველი სვირის; ზუგდიდის რაიონის  
ახალკახათის, ინგურქალაღდკომინატის სკოლა-ინტერნატი, ჩხორიოს,  
ცაცხვის, ახალბასთუმნის; ქარელის რაიონის კეზიჯვრის, აბისის;  
ყაზბეგის რაიონის სიონის; ყვარლის რაიონის ახალსოფლის მე-2;  
კავთისხევის, დოესის; ლენტეხის რაიონის ყაზუნდერის; ლაგოდეხის  
რაიონის აფენის; ლანჩხუთის რაიონის შუხუთის; მარნეულის რაიონის  
წერეთლის, ალგეთის მე-2, კეშალინსკის, ორჯონიკიძის; მახარაძის რა-  
იონის ბახვის, მერიის, ხატანების; მესტიის სკოლა-ინტერნატი;  
მცხეთის რაიონის ქსნის; საგარეჯოს რაიონის მანაეის მე-2;  
სიღნაღის რაიონის ტიბაანის, ულიანოვკის; სამტრედიის რაიონის ქვე-  
მო ნოღის; საჩხერის რაიონის არგვეთას; ონის რაიონის ღების; ორ-  
ჯონიკიძის რაიონის ვარძიის, ვახანის; თელავის რაიონის კურდღელა-  
ურის, აკურის; თერჯოლის რაიონის ჩხარის, ღვანკითის; თეთრიწყა-  
როს რაიონის თეთრიწყაროს რუსული; თიანეთის რაიონის ტუშუტრე-  
ბის; ხაშურის რაიონის ქვიშხეთის, იტრის; ხობის რაიონის ხეაის,  
ჭალადიდის; წალენჯიხის რაიონის გალის, ჯვარის; წალკის რაიონის  
ლივადის, კიარაკის; წულუკიძის სკოლა-ინტერნატი; წიაღწყაროს  
რაიონის არბოშიკის; წყალტუბოს რაიონის სოფ. წყალტუბოს, ოფშ-  
კითის; ცაგერის რაიონის ბარდნალის; ცხაკაიას რაიონის ძველი  
სენაკის, ზანის; ჩხოროწყუს რაიონის ზემის, ლესიჭინის ჩ/ს მეურნე-  
ობის; ჩოხატაურის რაიონის განახლების, საჭამაასერის ზოგადსაგანშა-  
ნათლებლო საშუალო სკოლები.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული სკოლების სიაში რაიმე ცვლი-

ლებს შეტანა აკრძალულა. საჭიროების შემთხვევაში საკითხი გან-  
და დაისვას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე  
1976 წლის 29 აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ხაბართველს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის  
3 მაისის ბრძანება № 441

ქ. თბილისის სალამოს სკოლებში კაბინეტ-ლაბორატორიებისა და  
თვალსაჩინოების გამოყენების მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. თბილისის სალამოს ბევრ სკო-  
ლაში საჭიროებისა და დანიშნულებისამებრ იყენებენ სასწავლო კაბი-  
ნეტ-ლაბორატორიებს, თვალსაჩინო მასალებსა და ტექნიკურ სა-  
შუალებებს. თანამედროვე მოთხოვნებს უკმაყოფილებენ საკუთარ შენობებ-  
ში მოთავსებული თბილისის სალამოს მე-11, მე-17, მე-19, 21-ე,  
22-ე, 23-ე, 27-ე, 34-ე საშუალო სკოლების სასწავლო-მატერიალუ-  
რი ბაზები.

თბილისის სალამოს 23-ე საშუალო სკოლა უკვე ორი წელია კა-  
ბინეტური სისტემით მუშაობს. ფიზიკის, ქიმიის, ისტორია-გეოგრა-  
ფიისა და ლიტერატურის კაბინეტები კარგად აქვთ მოწყობილი 27-ე  
და 34-ე სალამოს საშუალო სკოლაში. ისინი აღჭურვილია სწავლების  
ტექნიკური საშუალებებით. ზოგ სკოლებში მოსწავლეთა და მასწავ-  
ლებელთა მიერ მზადდება თვითნაკეთი თვალსაჩინო ხელსაწყოები,  
სქემები, ნახაზები და ა. შ. გაკვეთილებს მაღალ დონეზე ატარებენ:  
სალამოს მე 4, მე-10, 26-ე სკოლების ფიზიკის მასწავლებლები პ. კან-  
კია, ვ. დოლონაძე და ა. შარტავა; მე-10, მე-11 და 23-ე სკოლების  
ქიმიის მასწავლებლები ვ. სინარულიძე, შ. სალუქვაძე, გ. ბასკანი-  
ლაძე და ნ. პუზანოვა; 23-ე სალამოს სკოლის მათემატიკის მასწავლე-  
ბელი მ. კოლიევი, 27-ე სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ნ. გო-  
თოშია და სხვები. ისინი სწავლების პროცესში კარგად იყენებენ ტექ-  
ნიკურ საშუალებებს, თვითნაკეთ ხელსაწყოებს რეაქტივებსა და თვალ-  
საჩინო მასალებს, რითაც წარმატებებს აღწევენ მოსწავლეთა ცოდნის  
ხარისხის ამაღლებაში.

ნორმალური ურთიერთობაა დამყარებული დღის მე-18, 25-ე,  
55-ე, 119-ე, 125-ე, 131-ე და სალამოს მე-4, მე-10, 32-ე, 35-ე,



38-ე და მე-40 საშუალო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს შორის აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელები სათანადო პირობებში მნიშვნელოვან საღამოს სკოლებს კაბინეტ-ლაბორატორიების, თვალსაზრისით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებაში, ენმარეიან სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

ქ. თბილისის სახალხო განათლების ორგანოებმა ყველა საჭირო ღონისძიება გაატარეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 4 დეკემბრის № 968 ბრძანების შესასრულებლად იმ დარგში, რომელიც საღამოს სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მათი სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინო მასალებით აღჭურვას და გამოყენებას შეეხება.

თბილისის ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებამ მიიღო ბრძანება იმის შესახებ, რომ დღის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით შეუფერხებლად ისარგებლონ საღამოს სკოლებმა, მაგრამ არ დააწესა ჯეროვანი კონტროლი მის განხორციელებაზე. აღნიშნულ საკითხზე ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების 1975 27 დეკემბრის ბრძანება არ შესრულდა 31-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. კაშიამ. ამ სკოლაში არაა თუ კაბინეტების გამოყენების საშუალებას არ აძლევენ საღამოს მე-3 სკოლას, არამედ საკლასო ოთახებით სარგებლობასაც კი უზღუდავენ, ამიტომ საღამოს სკოლის 12 კლასი შენობის ოთხ სართულზეა განლაგებული, როცა მათთვის ერთიც საკმარისია. ანალოგიური მდგომარეობაა კიროვის რაიონის საღამოს მე-3 საშუალო სკოლაში, რომელიც დღის 104-ე საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული. ამ სკოლის დირექტორი ზ. დალაქიანი ხელს არ უწყობს საღამოს სკოლას ისარგებლოს კაბინეტებითა და თვალსაჩინო მასალებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 968 ბრძანებიდან გამომდინარე, შესაბამისი ბრძანებები არ მიიღეს ორჯონიკიძის, 26 კომისარის სახელობის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა და ამ რაიონების დღის სკოლების დირექტორებმა. ამიტომ, რომ მე-12, 31-ე, 64-ე, 90-ე, 111-ე, 127-ე სკოლების დირექტორები კაბინეტებით სარგებლობის უფლებას არ აძლევენ ამ სკოლებში განლაგებულ საღამოს მე-2, მე-9, 28-ე, 30-ე, 36-ე საშუალო სკოლებს. აღნიშნულ სკოლებში ხშირად ვაკეეთილები ტარდება თვალსაჩინოებისა ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე, სქემატურად, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცოდნაზე, მათ

დაინტერესებაზე, გაკვეთილებზე დასწრებაზე, აკადემიურ მოსწრებაზე და ა. შ. ამითაც აიხსნება, რომ ზოგ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე და აკადემიური მოსწრება. ასე მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს, პირველ სემესტრში, სალამოს მე-5 სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება 78%-ია, მე-9 სკოლაში—82,1% და ა. შ. აღნიშნულ და მთელ რიგ სხვა სკოლებში არ არის არც ერთი „ხუთოსანი“, ძალიან მცირეა „ოთხოსანი“ მოსწავლეთა რიცხვი. გაკვეთილების გაცდენები ხშირია მე-5, მე-6, მე-9, მე-16 და სხვა სკოლებში.

ზოგიერთი სკოლის მასწავლებლები, დირექტორებისა და მათი მოადგილეების მიერ კონტროლის შესუსტების გამო, მიუხედავად ამის შესაძლებლობისა, უგულებელყოფენ სწავლების პროცესში თვალსაჩინო მასალების გამოყენებას, ასეუბნია სალამოს მე-2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ე. მინანიშვილი, მ. ბობოხიძე; მათემატიკის მასწავლებლები ა. სიღამონიძე, დ. ზედგენიძე; რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. შაპროვალოვა და ვ. მეტრეველი, მე-18 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. აბაიშვილი და სხვები.

მთელ რიგ სკოლებში არ ინერგება სწავლების ეფექტური მეთოდები. დირექტორებისა და საგნის მასწავლებლების ერთი ნაწილი არ ეცნობა მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილებას. არცერთ სკოლაში არაა დანერგილი გამოკითხვის ე.წ. საბარათო სისტემა. პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, ოცდამეორე სალამოს სკოლებში არ არის შექმნილი პარობები ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის, რაც ხელს უშლის მოსწავლეებს თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენებაში.

ჯეროვანი ადგილი არ ეთმობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას და გამოყენებას. შეფი ორგანიზაციები, წარმოება-დაწესებულებები სუსტ დახმარებას უწევენ სკოლებს სწავლების ტექნიკური საშუალებების, ხელსაწყოებითა და მასალებით კაბინეტ-ლაბორატორიების შევსებაში. ზოგან კი სკოლები ვერ იყენებენ განათლების განყოფილებებისა და საშეფო ორგანიზაციების მიერ დიდაქტიკური მასალების შესაძენად გამოყოფილ თანხებს.

დასახელებული ნაკლოვანებები გამოწვეულია რაიონების განათლების ჯანყოფილებების, მათი მეთოდური კაბინეტების, სალამოს სკოლების დირექტორების მიერ მოზრდილთა სწავლებაში ტექნიკური საშუალებების, თვალსაჩინო მასალების გამოყენების შეუფასებლობით. ცალკეული მასალების სწავლების შემოწმების, გაკვეთილების მოსვენის დროს ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხებს, არ იხი-

ლავენ განათლების სახალხო საბჭოებისა და პედაგოგიური საბჭოების  
სხდომებზე, ხოლო რაიონული ფილმოთეკები ყველგან არ არიან მო-  
წესრიგებული და არაერთარ დახმარებას არ უწყვენ <sup>საქართველოს</sup>  
სკოლებს.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებებმა, სა-  
ლამოს სკოლების დირექტორებმა გადამჭრელი ღონისძიებები გაატა-  
რონ მოზრდილთა სწავლების პროცესში სწავლების ტექნიკური სა-  
შუალებების, თვალსაჩინოების მასალების ფართოდ გამოყენებისა  
და სწავლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, უზრუნველ-  
ყონ მომუშავე ახალგაზრდების სწავლების თაობაზე საქართველოს  
კვ. ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 6 აპრილის დადგენილების  
შესრულება. ამ მიზნით:

ა) განამტკიცონ სალამოს სკოლების სასწავლო-მატერიალური  
ბაზა, შეავსონ არსებული სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიე-  
ბი სწავლებისათვის საჭირო დანადგარებით, ხელსაწყოებითა და მასა-  
ლებით. იქ, სადაც სალამოს სკოლებს თავიანთი შენობები აქვთ, შექ-  
მნან თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილი კაბინეტები და  
ლაბორატორიები, ხოლო მასიურ სკოლებში მომუშავე სალამოს სკო-  
ლებში ისე მოაწყონ საქმე, რომ ისინი შეუფერხებლად სარგებლობ-  
დნენ კაბინეტ-ლაბორატორიებით, ტექნიკური საშუალებებითა და  
თვალსაჩინოების მასალებით;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი გულმოდ-  
გინედ ემზადებოდეს ყველა ვაკეეთილისათვის, ფართოდ იყენებდეს  
თვალსაჩინობას, დაუფლებული იყოს სწავლების ტექნიკურ საშუა-  
ლებათა გამოყენებას, თეორიულ მასალას მკიდროდ უკავშირებდეს  
პრაქტიკას და ამით უზრუნველყოფდეს სწავლების მაღალ ხა-  
რისხს;

გ) დროულად მოამარაგონ სალამოს სკოლების მოსწავლეები ძი-  
რითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ხოლო მასწავლებლებ-  
ლები — მეთოდური ლიტერატურით;

დ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სკოლებში მოსწავლეთა და  
მასწავლებელთა მიერ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას და  
სწავლების პროცესში გამოყენებას;

ე) გადაჭრით გააძლიერონ მეთოდური დახმარება და მომთ-  
ხოვნელობა მასწავლებლებისადმი. სკოლების დირექტორები, მათი მო-

ადგილები სისტემატურად დაესწრონ გაკეთილებს და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, განაზოგადონ მოწინავე მისწავლებლების გამოცდილებანი და მათგონ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების საბარათო სისტემა.

2. განათლების განყოფილებებმა უზრუნველყონ მეთოდური კაბინეტების მიერ საღამოს სკოლებისადმი დახმარების მკვეთრი გაუმჯობესება, გარდაქმნან ფილმოთეკების მდგომარეობა.

3. მასობრივი სკოლების დირექტორებმა (სადაც საღამოს სკოლები მეცადინეობენ) უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 4 დეკემბრის № 968 ბრძანების შესრულება, საღამოს სკოლებს შეუქმნან სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობისათვის ნორმალური პირობები, მისცენ მათ საკლასო ოთახების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და თვალსაჩინოების გამოყენების შესაძლებლობა.

4. საღამოს სკოლების დირექტორებმა გააძლიერონ კაბინეტების გამგეების, ლაბორანტების, თითოეული მასწავლებლის პასუხისმგებლობა დღის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების, თვალსაჩინოების, საკლასო შენობისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 4 დეკემბრის № 968 ბრძანების არადატყვეფილებლად შესრულებისათვის, რაც იმით გამოიხატება, რომ საღამოს სკოლებს არ შეუქმნეს კაბინეტ-ლაბორატორიების გამოყენების სათანადო პირობები, ქ. თბილისის მე-12, 31-ე, 64-ე, 91-ე, 104-ე, 127-ე საშუალო სკოლების დირექტორები: შ. ი. გალდავაძე, ვ. კ. კაშია, ნ. ა. მაკასარაშვილი, ს. იორდანიანი, ზ. ა. ლალაქიანი, ა. სვანიძე გაფრთხილებულ იქნენ.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ ბოლო დროს დღის მე-9, 21-ე, 47-ე, 57-ე, 114-ე და 160-ე სკოლების დირექტორებმა: გ. ი. როსტიაშვილმა, ა. ა. ოვანესიანმა, თ. დ. ჩიხლაძემ, ი. ა. შენგელიამ და ვ. კ. ორჯონიკიძემ სათანადო პირობები შეუქმნეს საღამოს სკოლებს თვალსაჩინოების მასალებითა და კაბინეტით სარგებლობისათვის.

6. აღინიშნოს საღამოს მე-6, მე-9, მე-13, 30-ე, 36-ე საშუალო სკოლების დირექტორების თ. ვ. ვიგიბერიას, ა. ვ. პარავიანის, მ. სანიკიძის, ვ. ვ. ჯამბაზაშვილის, გ. ს. ხვედელიძის და ვ. ჟორდანიას არაგულისხმიერი და არაპირდაპირი დამოკიდებულება მოზრდილთა სწავლების პროცესში დიდაქტიური მასალების გამოყენებისადმი.

7. ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებებმა გაა-

უმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება სალამოს სკოლებში, მოაწესრიგონ ურთიერთობა დღისა და სალამოს სკოლებს შორის. ეს ბრძანება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი.

8. თბილისის განათლების განყოფილებამ მიიღოს ზომები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 4 დეკემბრის № 968 ბრძანების ცხოვრებაში გატარებისათვის.

უზრუნველყოს ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 29 აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 5 მაისის ბრძანება № 451

რსფსრ ბელგოროდის ოლქის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონის შესახებ მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში

ვაქვეყნებ სსრ კავშირის განათლების მინისტრის მ. გ. პროკოფიევის 1976 წლის 14 აპრილის № 57 ბრძანებას „რსფსრ ბელგოროდის ოლქის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონის შესახებ მათემატიკაში, ფიზიკაში, და ქიმიაში“.

სსრკ განათლების სამინისტროს ბრივადის საინსპექტორო შემოწმების მასალები ცხადყოფენ, რომ სახალხო განათლების ბელგოროდის საოლქო განყოფილებამ, საწარმოებისა და მეურნეობების ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, სკკპ საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით, მეცხრე ხუთწლედში ჩაატარა მნიშვნელოვანი მუშაობა საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ახალგაზრდობის სწავლების ორგანიზაციისადმი.

ამასთან, ოლქის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმებამ მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, რომელიც ჩაატარა სსრკ განათლების სამინისტროს ბრივადამ, გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებაში.

სიით აღრიცხვაზე მყოფ მოსწავლეთა 62 პროცენტთან, რომელმაც მიიღო მონაწილეობა საკონტროლო სამუშაოებში, ქიმიაში დავალებების შესრულება შეძლო მოსწავლეთა მხოლოდ 61,3 პროცენტმა, მათემატიკაში—66,7 პროცენტმა, ფიზიკაში—69,7 პროცენტმა.

არსებული ხარვეზები ოლქის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა ცოდნაში იხსნება იმით, რომ ჯერ კიდევ ბევრი მასწავლებელი ვერ ატარებს გაკვეთილებს სათანადო დონეზე, არ შეს-

წევს უნარი განასხვავოს მთავარი (არსებითი) შესასწავლი თემის არსი-  
არსიდან, ვერ განმარტავს უმნიშვნელოვანესი ცნობების არსს, ზოგი-  
ერთი მასწავლებელი—მაგალითად სკოლიაროვა რ. ი.—ქ. 260 ცენტის  
დის № 3 საღამოს სკოლა, რაისკი ს. პ.—სტაროოსკოლის საღამოს  
სკოლა, ემი ვ. გ.—საოლქო დაუსწრებელი სკოლის ნოვოსადოვის სას-  
წავლო-საკონსულტაციო ბენქტი, არ ითვალისწინებენ მიმუშავე  
ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ბიუჯეტის შეზღუდულობას,  
სუსტად იყენებენ გაკვეთილის, ჩათვლისა და კონსულტაციის დროს  
მოსწავლეებში შემეცნებითი უნარის გააქტივებისა და დამოუკიდებე-  
ლი მუშაობის ჩვევების გამომუშავებისაკენ მიმართულ მეფოდებს. ძი-  
რითადი სასწავლო დატვირთვა გადააქვთ საშინაო დავალებებზე.

საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ საგნებში სწავლების პროცეს-  
ში სრულად არ ხდება პროგრამების საღმზრდელო პოტენციალის  
რეალიზაცია.

ოლქში არ ღებულობენ ქმედით ზომებს საღამოსა და დაუსწ-  
რებელი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტუ-  
რობის ერთ-ერთი მთავარი პირობის—მეცადინეობაზე რეგულარული  
დასწრების უზრუნველსაყოფად, რომელიც ჩვეულებრივად აო აღემა-  
ტება 50—60 პროცენტს. მეცადინეობაზე ცუდი დასწრების, მასწავ-  
ლებელთა არასათანადო მომთხონელობის გამო, მოსწავლეთა დიდი  
ნაწილი არასრულად ასრულებს ლაბორატორიულ, პრაქტიკულ და  
საკონტროლო სამუშაოებს მათემატიკაში, ფიზიკაში და ქიმიაში.

რიგ სკოლებში (ქ. ბელგოროდის № 3 საღამოს სკოლა და სხვ.)  
სუსტად ზორციელდება შიგასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელო-  
ბა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე. საბუნებისმეტყველო-მათე-  
მატიკური ციკლის გაკვეთილების გაანალიზებისათვის სკოლის ხელმ-  
ძღვანელები არასაკმარისად იყენებენ საგნის საუკეთესო მასწავ-  
ლებლებს.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში უკანასკნელი ორი წლის გან-  
მავლობაში არ მომხდარა მოსწავლეების ცოდნის დონის გაანალიზე-  
ბა მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში (მაგალითად, შეშეკინის საღამოს  
სკოლა).

ოლქის საღამოს და დაუსწრებელ სკოლებში ძირითადად მუშა-  
ობენ შემთავსებელი მასწავლებლები (90 პროცენტი). ბევრი მათგანი  
სუსტად არის დაუფლებული მოზრდილთა სწავლების მეთოდოციას,  
მეთოდურ დახმარებას განსაკუთრებით საჭიროებენ დაუსწრებელი

სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში მომუშავე მასწავლებლებში.

მ-სწავლეების დაბალი ცოდნის დონის მიზეზებია ლიბერალიზმი, რომელსაც იჩენენ მასწავლებლები ცოდნის შეფასებისას, სასწავლო და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის არაღრმად ინსპექტირება სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ და მეთოდური ლიტერატურის უქმარისობა.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბი:

1. ბელგოროდის საოლქო განათლების განყოფილებამ (ამხ. ი. ს. სოლოვეცკი) მიიღოს ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

სახალხო განათლების ორგანოებისა და სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ძალები წარმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის ამაღლებისაკენ და უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ ღრმა, მყარი ცოდნის მიღება გაკვეთილებზე, კონსულტაციებზე და ჩათვლებზე;

განახორციელოს სალამოს სკოლებში სისტემატური კონტროლი სწავლებაზე და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე, აგრეთვე საშინაო დავალებების მოცულობის რეგულირებაზე;

დაავალოს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებს, სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების ხელმძღვანელებს საწარმოების ადმინისტრაციასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მოსწავლეთა მეცადინეობებზე რეგულარული დასწრებისათვის.

მიღებული ზომების შესახებ ეცნობოს სსრკ განათლების სამინისტროს 1977 წლის იანვარში.

2. მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა:

უზრუნველყონ სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო საგნების სწავლების მეცნიერულ თეორიული და მეთოდური დონის შემდგომი ამაღლება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეების მიერ მეცნიერული თეორიებისა და კანონების ღრმა და შეგნებულ ათვისებას, მათში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებას და დამოუკიდებელი სასწავლო მუშაობის ჩვენების დანერგვას.

3. კრებული



დაევალოთ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანიზაცი-  
ველწლიურად ჩაატარონ სალამოსა და დაუსწრებელი სკოლებში ფონ-  
ტალური ან თემატური საინსპექტორო შემოწმებები.

ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა მეცადინეობების  
რების მკვეთრი გაუმჯობესების, სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში  
სასწავლო მუშაობის ისეთი მრავალრეჟიმიანი ორგანიზაციის დანერ-  
გვისათვის, რომელიც უფრო სრულად შეესატყვისება ახალგაზრდების  
საწარმოო დატვირთვის, განავრცონ სალამოს სკოლების ქსელის გეგმა-  
ზომიერი რაციონალიზაცია, განსაკუთრებით სოფლის ადგილებში,  
უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღონ რაიონული დაუსწრებ-  
ელი სკოლებისა და მათი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გახსნა  
მოსწავლეების საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის გათვალისწი-  
ნებით;

შექმნან სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სახელმძღვანელო-  
ების საბილიოთეკო დასარიცხებელი ფონდები, გაითვალისწინონ მო-  
მუშავე ახალგაზრდების სასწავლო ლიტერატურით მაქსიმალური უზ-  
რუნველყოფა;

უზრუნველყონ სალამოს (ცელის) ზოგადსაგანმანათლებლო სკო-  
ლების გადაყვანა სწავლების კაბინეტურ სისტემაზე 1980 წლისათვის.

3. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს  
სკოლების მთავარი სამმართველოს სალამოსა და დაუსწრებელი სწავ-  
ლების განყოფილებას (ამს. მალახოვა მ. დ.).

მინისტრი შ. ა. პროკოფიევი

სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1976 წლის 14 აპრილის  
№ 57 ბრძანების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აჭარისა და აფხაზეთის ასრ განათლების სამინისტროებმა,  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების  
განათლების განყოფილებებმა ეს ბრძანება მიიღონ სახელმძღვანელოდ  
და შესასრულე ლად, განიხილონ და განახორციელონ საჭირო ღონის-  
ძიებანი მისი ცხარებაში გატარებისათვის.

ყველა ზომა გაატარონ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებ-  
ლად. უზრუნველყონ ყოველწლიურად სალამოსა და დაუსწრებელი  
სკოლების ფონტალური და თემატური საინსპექტორო შემოწმების  
ჩატარება.

გაათაროთონ საღამოსა და, პირველ რიგში, დაუსწრებელი სწავლების ქსელი, თავისი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებით, ჯგუფებით, განსაკუთრებით სოფლად.

2. საღამოთა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებთან უზრუნველყონ თვითთელი საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენება, მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის საფუძვლიანად ათვისება, გაკვეთილების გაცდენის მინიმუმამდე დაყვანა.

სწავლების პროცესში მაქსიმალურად გამოიყენონ თელსაჩინოების მასალები, ტექნიკური საშუალებები, იზრუნონ სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველო სსრ განათლების სამინისტროს

1976 წლის 6 მაისის ბრძანება № 455

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ექსპედიციის შესწავლის შედეგების შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მეცხრე ხუთწლედში გარკვეული მუშაობა გასწია რესპუბლიკის პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ახალსაწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით გადასამზადებელი კურსები გაიარა ნ.მ. 602; მათ შორის 1965 წელს — 12.882 მასწავლებელმა.

მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს:

საკურსო ღონისძიებების ჩატარება, უმეტეს შემთხვევაში, სორციელდება ლიფერენცირების გარეშე — ამ საკითხში სუსტია კავშირი რაიონის (ქალაქის) მეოთხეკლასიანებთან. არსებული სისტემა არ შეესაბამება სადღესიო მოთხოვნებს. სასწავლო გეგმებში ჭარბობს ლექციური მუშაობა, ნაკლები ყურადღება ექცევა პრაქტიკულ საქმიანობას. კურსების თემატიკა ცალკეულ დისციპლინებში ზოგადია და არ იძლევა-ორიენტიაციას იმაზე, თუ რა სიანხლენი უნდა გავცნოს მასწავლებელს, რა ახალ გამოცდილებას უნდა დაეუფლოს ის. მათ ეძლევათ ლექციების თემების ზოგადი ფორმულირება, არ ეძლევათ რჩევა, თუ როგორი გეგმით, რა შინაარსით აავსონ ლექცია, რას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და ა. შ. ამრიგად, ლექციების შინაარსის გახსნა მთლიანად ლექტორზეა დამოკიდებული. ბევრ შემთხვევაში სალექციო თემატიკა და მათი შინაარსი არ არის განხილული კათედრებისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე. კაბინეტების უმრავლესობას არ

შეუსწავლია და არ აღურიცხავს, თუ რა სარგებლობა მოუტანა მასწავლებლებს გადასამზადებელმა კურსებმა..

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ისტორიისა და სწავლების გადოებათმცოდნეობის (გამგე ვ. ვარძიელი), დაწყებითი სწავლების (გამგე შ. შამალაძე), აღმზრდელობითი (გამგე ნ. ყიფიანი), სახვითი ხელოვნების (მეთოდისტი ნ. ნეკერიშვილი) და ხაზვის (მეთოდისტი ი. ჩახავა) მეთოდკაბინეტების მუშაობა.

ადგილი აქვს არასპეციალურ სტა მიერ ლექციების წაკითხვის შემთხვევებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რაიონებში ჩატარებულ და აზერბაიჯანული და სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლ კურსებზე. ინსტიტუტისა და მეთოდკაბინეტების სამუშაო გეგმები რიგი მეორეხარისხოვანი საკითხებითაა გადატვირთული, მოითხოვს დახვეწასა და სრულყოფას.

დირექცია სისტემატურად არ ესწრება ლექციებს, სათანადო კონტროლს არ უწევს მეთოდკაბინეტების მიერ წერილობით ანგარიშებს 5-დღიანი სემინარების ჩატარების შესახებ, არ ეცნობა მოხსენებით ზარათებს, რომლებსაც მეთოდკაბინეტები უგზავნიან რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებს, ამიტომ ისინი უფრო საინსპექტორო ხასიათისაა და არ შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, არ ამოწმებს მეთოდკაბინეტების მუშაობას.

ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობა არ შეესაბამება დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, გადასახალისებელია. სისტემატურად არ ტარდება საბჭოს სხდომები, საბჭოს სამუშაო გეგმაში არ არის გათვალისწინებული აქტუალური პრობლემური საკითხები, ხოლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების ერთი ნაწილი არ არის შესრულებული.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ინსტიტუტის დირექცია, მეთოდკაბინეტები და კათედრები სათანადოდ არ მუშაობენ სკოლის წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომელსაც ვლენს პარტია და მთავრობა. უსახავენ სკოლისა და მასწავლებლებს. საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ მეთოდკაბინეტებს, საკურსო ღონისძიებების დროს არ ესწრებიან ლექციებს და არ აკეთებენ მათ ღრმა და საღელვლოდ ანალიზს. საბჭო კონტროლს არ უწევენ სარეკომენდაციო განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას.

არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით,



1. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა;

— მიმდინარე წლის პირველ მაისამდე გადასინჯოს აღმსარებლობის სამინისტროს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო გეგმები (კურსების თემატიკა), ლექციების ხარჯზე გააძლიეროს საათები მასწავლებელთა დამოუკიდებელი თეორიული მომზადებისათვის, პრაქტიკული მუშაობისა და დისკუსიებისათვის;

— უმოკლეს ვადაში შეადგინოს და განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობა. უზრუნველყოს საბჭოს სხდომების რეგულარულად ჩატარება და აქტუალური პრობლემური საკითხების განხილვა;

— მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების წლიური და პრესპექტიული სამუშაო გეგმები შეადგინოს წინა წელს გაწეული მუშაობის ღრმა ანალიზის საფუძველზე აქტუალური დიდაქტიკური მეთოდური პრობლემების გათვალისწინებით, მუშაობაში დაგროვილი გამოცდილების განზოგადებით;

გეგმაში გაითვალისწინოს მეცადინეობის ყველა სახე და დახელოვნების ინსტიტუტის, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-ბედაგოგიური ცოდნის სახალხო უნრვერსიტეტების ერთობლივი მუშაობის კოორდინაცია;

— მკვეთრად გააუმჯობესოს გადასამზადებელი და დახელოვნების კურსების მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცის მასწავლებელთა შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ბედაგოგიური მეცნიერებისა და მოწინავე ბედაგოგიური გამოცდილების თანამედროვე მიღწევათა დანერგვას, მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების დარგში უკანასკნელი მიღწევების გაცნობას;

— კურსების მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ დანერგოს მეცადინეობის უფრო მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები: მიზნობრივი, პრობლემური და მიმოხილვითი ლექციები, სემინარები, კონფერენციები, გასაუბრებები, ლაბორატორიული სამუშაოები, თანამედროვე ხელსაწყო-იარაღებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება და სხვ;

— განახორციელოს კურსების მოწყობა დიფერენცირებულად — მასწავლებელთა ცენზის, სტაჟის, მომზადების დონისა და მუშაობის ადგილის მიხედვით (ქალაქად და სოფლად);



წლიანი კურსების მუშაობა;

— პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მასშტაბის დადგენილების „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად უზრუნველყოს სოფლის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების მუშაობის ეფექტურობა;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის სკოლების იმ მასწავლებელთა გადასამზადებას, რომლებიც ასწავლიან 2-3 საგანს და არა აქვთ სათანადო მომზადება;

— უფრო მეტი ყურადღებით მოეცილოს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მოწვეულ საღამოს (ცვლიან) სკოლებში შეთავსებით მომუშავე მასწავლებლებთან მუშაობას, მათთან დამატებით ჩაატაროს ლექციების ციკლი 10-საათიანი თემატიკის მიხედვით საღამოს (ცვლიან) სკოლებში მუშაობის სპეციფიკურ საკითხებზე;

— კურსების მსმენელთა პირადი პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, აწარმოოს ჩათვლები, საკონტროლო სამუშაოები, რეფერატების წაკითხვა, მოკლე თვითანგარიშები, დანერგოს აგრეთვე მათი პოლიტიკური, თეორიული და მეცნიერულ—მედაგოგიური ცოდნის შემოწმების სხვა ფორმები;

კურსებდამთავრებულ მასწავლებლებზე გასაცემად შემოიღოს სპეციალური მოწოდებები საგნებისა და მეფასების აღნიშვნით;

— მკვეთრად გააუწვავს კუროსებზე მოწვეულ ლექტორთა შემადგენლობა. ამ საქმეში ფართოდ ჩააბას უმაღლესი მასწავლებლების მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გამოცდილი ხელმძღვანელები და მასწავლებლები, საუკეთესო ინსტრუქტორები და მეთოდისტები;

არ დაუშვას არასპეციალისტთა მიერ ლექციების წაკითხვა კურსებზე;

— გააძლიეროს მუშაობა ლექტორთა შორის, მათი ყურადღება მიაქციოს იმას, თუ რა სიუხლე უნდა გაეცნოს მასწავლებლებს, რა ახალ გამოცდილებას უნდა დაეფუძლოს ისინი.

მუშაობის პრაქტიკაში დანერგოს ლექციების წინასწარ განხილვა კათედრებსა და ინსტიტუტის საბჭოს სხდომებზე, სისტემატურად დაესწროს ლექციებს, მოახდინოს მათ ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი;

— კურსებგავლილ და კურსებზე მისავლინებელ მასწავლებელთა აღრიცხვის მოწესრიგებისა და დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით, ნერგოს კარტოთეკული სისტემა. ამასთან, საჭირო დახმარებას იწვევს ოს ქალაქების (რაიონების) განათლების განყოფილებათა მეთოდკაბინეტებს კარტოთეკის წარმოების საქმეში;

— მჭიდრო კავშირი დაამყაროს ქალაქების (რაიონების) განათლების განყოფილებებთან არსებულ მასწავლებელთა საატესტაციო მუშა ჯგუფებთან, დაენმაროს მათ ატესტაციის მაღალ დონეზე ჩატარებაში, აგრეთვე კურსების მოწყობისას გაითვალისწინოს საატესტაციო კომისიების წინადადებები მასწავლებელთა მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად;

— აქედანვე მიიღოს საჭირო ზომები აზერბაიჯანული და სომხური რვაწლიანი და საშუალო სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა აზერბაიჯანისა და სომხეთის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

— სისტემატურად შეისწავლოს და სათანადო ანალიზი გაუკეთოს კურსებგავლილ მასწავლებელთა მუშაობას; გამოიყენოს ისინი მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

ფართოდ დაწერგოს წინასაკურსო და კურსებშემდგომი მუშაობა;

— მიიღოს ზომები მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის განზოგადებაში არსებული ფორმალიზმის აღმოსაფხვრელად, ამ საქმეში, მეთოდკაბინეტებთან ერთად, აქტიურად ჩააბას კათედრები;

— მკვეთრად გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება ქალაქების (რაიონების) მეთოდკაბინეტებისადმი. მიღწიოს იმას, რომ ისინი მუშაობის პროცესში ქმედით დახმარებას უწყევდნენ მასწავლებლებს პედაგოგიკური მეცნიერებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების თანამედროვე მიღწევათა დაწერგვის საქმეში;

— გააუმჯობესოს კათედრების მუშაობა, აქტიურად ჩააბას საკურსო ღონისძიებათა მეცნიერულ დაგეგმვაში, თემატიკების აპრობაცი-აში, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სრულყოფაში, მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების სისტემის დამუშავებაში.

კათედრებს დააკისროს პასუხისმგებლობა მეთოდკაბინეტების მიერ მოწინავე გამოცდილების მეცნიერული შესწავლისა და განზოგადების, სამეცნიერო—კვლევითი მუშაობის გაშლისა და მეთოდკაბინეტების მუშაკთა მეცნიერულ—თეორიული ღონის ამაღლებაში.

კათედრების საშუალებით დაამუშაოს თემა თანამედროვე ინ-  
ციერულ—ტექნიკური რევოლუციის პირობებში მასწავლებელთა კვა-  
ლიფიკაციის ამაღლების ოპტიმალური ორგანიზაციისა და მათი მუშაობის  
შესახებ;

— მკვეთრად გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება  
ინსტიტუტის მეთოდკაბინეტებისადმი, შეამოწმოს და საბჭოს სხდომაზე  
მოისმინოს მეთოდკაბინეტების (შერჩევით) გამგეობის ანგარიში, გა-  
მოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დასახოს საჭირო  
ლონისძიკ ანი და მტკიცე კონტროლი დააწესოს მის შესრულებაზე.

სათანადო კონტროლისა და შემოწმების გარეშე არ დაუშვას  
მეთოდკაბინეტების მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათების დაგზავ-  
ნა ქალაქების (რაიონების) განათლების განყოფილებებისადმი;

— მუშაობის პრაქტიკაში დაამკვიდროს მონათესავე დარგის  
მეთოდკაბინეტების გაერთიანებული სხდომები, საკითხების ერთობლივი  
განხილვა და სხვა სასარგებლო ღონისძიებების ჩატარება;

— მუშაობის პრაქტიკაში დანერგოს, რომ ინსტიტუტის მუშა-  
კებმა და კათედრების წევრებმა, ნორმით განკუთვნილი საათების შე-  
სრულების შემდეგ, საჭირო შემთხვევაში ლექციები წაიკითხონ სამუ-  
შაო საათებში, ანაზღაურების გარეშე;

— საჭირო დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქების  
(რაიონების) განათლების განყოფილებებს და სკოლებს სტაჟიორ მასწავ-  
ლებელთა შორის მუშაობის დებულების შესაბამისად ჩატარებაში;

— გააძლიეროს კავშირი და დახმარება ქ. ქ. თბილისის, ქუთა-  
ისის, სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის მასწავლებელთა დახელოვნების  
ინსტიტუტებისადმი. მიიღწიოს იმას, რომ რესპუბლიკის სკოლების ხელ-  
მძღვანელ მუშაკთა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხორ-  
ციელდებოდეს სათანადო გეგმისა და აშოკანების შესაბამისად;

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭოს 1972 წლის 20 მაისის დადგენილების შესაბამისად, საჭირო  
დახმარება აღმოუჩინოს სკოლებს სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გა-  
დასვლის განხორციელებაში;

— გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა საკურსო  
ლონისძიებების ჩატარებისადმი, არ დაუშვას საკურსო მუშაობის ვა-  
დამდე დამთავრება;

— მიიღწიოს იმას, რომ ჟურსებზე მოწვეულ მასწავლებლებს  
წინასწარ ეძლეოდეთ ჟურსების მუშაობის სრული პროგრამა; ლექცი-  
ებისა და პრაქტიკულ მეცადინეობათა განრიგი და ცხრილი, თემებისა



და ლექტორთა დახმარებით, ლიტერატურის სია დამოუკიდებელი მუშაობისათვის; კულტმასობრივი ღონისძიებები—სექტაკლებზე დისკრება და კინოფილმების ნახვა, მუზეუმებისა და გამოფენების ტანსაცმლის რება, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეებთან და წარმოების მოწინავე აღამიანებთან შეხვედრა და სხვა;

— საუკეთესო გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების მიზნით პრაქტიკაში დაწერვის მოქმე რესპუბლიკების მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში ინსტიტუტის მუშაკთა მივლინება;

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) შეარჩიოს და კოლეგიას წარმოუდგინოს პროექტი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისათვის (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი) საბაზო სკოლების გამოყოფის შესახებ.

3. კადრების სამმართველომ (ამხ. ი. კვაჭაძე), განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ცენტრალურ ინსტიტუტად რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, გადასინჯოს ინსტიტუტის კადრების შემადგენლობა და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები;

კათედრებზე თანამშრომელთა მიღება ანიერიდან მოახდინოს კონკურსის წესით.

4. საფინანსო—საგეგმო სამართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე), ვაითვალისწინოს თანხების გამოყოფა ჩათვლებისა საკონტროლო წერების ჩატარებისა და რეფერატების გასწორებისათვის.

5. კაპიტალური მშენებლობის სამართველომ (ამხ. ს. უჩანეიშვილი) ინსტიტუტის დირექტორთან ერთად (ამხ. თ. ზახაშვილი) შეისწავლოს საკითხი არსებულ შენობაზე მიშენების შესახებ და წარმოადგინოს სათანადო წინადადება მეორე კვარტალის ბოლოს.

6. მომარაგების სამართველომ (ამხ. გ. კვიციანი) მიიღოს ზომები ინსტიტუტის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ტექნიკურ საშუალებათა და სხვა კაბინეტების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით შევსებისათვის, საერთო საცხოვრებლისათვის გამოუყოს საჭირო რაოდენობის რბილი და მკვრივი ინვენტარი.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კადრების სამართველოს (ამხ. ი. კვაჭაძე), სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. ზ. როგავა).

მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

ა.ნ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

### მოხსენებითი ბარათი

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მუშაობის  
შესწავლის შედეგების შესახებ

თქვენი მ/წლის 20 იანვრის № 38 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კომისიამ, განათლების მინისტრის მოადგილის კ. მაჭარაშვილის (ხელმძღვანელი), საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედმეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის სამეცნიერო ნაწილში, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის შ. ამონაშვილის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსის მოადგილის ს. თვალაშვილის, დოც. ი. მახარაძის, დოც. რ. ვახეჩავას, დოც. ა. ა. ფარჯანიძის, დოც. შ. ხუნდაძის, დოც. ე. სურგულაძის, პედმეცნიერებათა დოქტორის შ. შათიანიშვილის, დოც. ა. ლომაძის, პედმეცნიერებათა ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელებს: ე. გაბუნias, ლ. მგალობლიშვილის, სკოლა—ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მეთოდკაბინეტის დირექტორის ა. ვაჩნაძის, ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის დირექტორის გ. მერკვილაძის, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტის გ. შენგელიას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი საშეწავლო მომზადების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის გ. დანიელოვის, იდეურ—ზნეობრივი აღზრდის სამეცნიერო—მეთოდური კაბინეტის მეთოდისტების გ. ჩაჩუას, მ. მუქათარიძისა და ნ. ლალიაშვილის შემადგენლობით, შეისწავლა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მუშაობა.

კომისია შემოწმებისას ეყრდნობოდა დახელოვნების ინსტიტუტის შესახებ სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და საქართველოს

სსრ განათლების სამინისტროს მიერ მიღებულ ბრძანებებსა და დიდგენილებებს.



## I. ინსტიტუტის კადრები და სტრუქტურა

სამეურნეო პერსონალის გამოკლებით შემოწმების პერიოდში ინსტიტუტში მუშაობდა სულ 80 თანამშრომელი (მათგან 4 შეთავსებით 0,5 განაკვეთზე, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრებზე).

ხელმძღვანელობა (დირექტორი, მოადგილეები)	— 3
კაბინეტებისა და კათედრათა გამგეები	— 21
მ ე თ ო დ ი ს ტ ე ბ ი	— 35
კათედრათა წევრები	— 9
ლაბორანტები	— 10
ბიბლიოთეკის თანამშრომლები	— 3
ს უ ლ	— 80

37 თანამშრომელი სკკპ წევრია, უმრავლესობას აქვს 20 წელზე მეტი ხნის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი.

ინსტიტუტს აქვს ვაკანტური ადგილი (პედაგოგიკის კათედრაზე — უფროსი მასწავლებელი — 1 საშტატო განაკვეთი).

ინსტიტუტის სტრუქტურაში შედის ორი კათედრა და 20 მეთოდკაბინეტი. ეს სტრუქტურა, მუშაკთა განაწილებით, შემდეგნაირად გამოიყურება:

1. პედაგოგიკის კათედრა — 6 თანამშრომელი (მათ შორის 1 ლაბორანტი);
2. ფსიქოლოგიის კათედრა — 6 თანამშრომელი (მათ შორის 1 ლაბორანტი);
3. ქართული ენისა და ლიტ. მეთოდკაბინეტი — 3 თანამშრომელი;
4. რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდკაბინეტი — 3 თანამშრომელი;
5. უცხოური ენების მეთოდკაბინეტი — 5 თანამშრომელი (მათ შორის 1 ლაბორანტი);
6. ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდკაბინეტი — 2 თანამშრომელი;
7. გეოგრაფიის მეთოდკაბინეტი — 3 თანამშრომელი (მათ შორის 1 ლაბორანტი);
8. მათემატიკის მეთოდკაბინეტი — 4 თანამშრომელი;



9. ფიზიკის მეთოდკაბინეტი — 3 თანამშრომელი (მათ შორის 1 ლაბორანტი);
10. ქიმიის მეთოდკაბინეტი — 3 თანამშრომელი (მათ შორის 1 ლაბორანტი);
11. ბიოლოგიის მეთოდკაბინეტი — 4 თანამშრომელი (მათ შორის 1 ლაბორანტი);
12. ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტი — 1 თანამშრომელი;
13. დაწყებითი სამხედრო მომზადების მეთოდკაბინეტი—1 თანამშრომელი;
14. დაწყებითი სწავლების მეთოდკაბინეტი—4 თანამშრომელი;
15. აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდკაბინეტი — 3 თანამშრომელი;
16. შრომითი და პროფორიენტაციის მეთოდკაბინეტი — 4 თანამშრომელი;
17. ინტერნატული ტიპის დაწესებულებათა მეთოდკაბინეტი—4 თანამშრომელი;
18. სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდკაბინეტი—3 თანამშრომელი;
19. ხავეისა და სახვითი ხელოვნების მეთოდკაბინეტი — 2 თანამშრომელი;
20. საღამოს (ცვლის) სკოლების მეთოდკაბინეტი — 2 თანამშრომელი;
21. სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტი — 3 თანამშრომელი (მათ შორის 1 ლაბორანტი);
22. სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა მეთოდკაბინეტი — 4 თანამშრომელი (მათ შორის 1 ფილმოტეკის გამკე).

### 11. ინსტიტუტის მატერიალური ბაზა

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მატერიალური ბაზა — როგორც აღმინისტრაციული, ისე საერთო საცხოვრებლის შენობები ვერ პასუხობს მოთხოვნებს, საჭიროებს სერიოზულ სრულყოფასა და განმტკიცებას. კაბინეტებს არა აქვთ საკუთარი საღებავი აუდიტორიები, ამიტომ საკურსო ღონისძიებებს ხშირად ორ ცვლაში ატარებენ. მეთოდკაბინეტების უმრავლესობა მოთავსებულია პატარა ოთახებში, ხოლო გეოგრაფიისა და სკოლათმცოდნეობის კაბინეტი ერთად არის შეხიზნული, ამიტომ ყველგან ვერ ხერხდება მეთოდური ლიტერატურის, მუშაობის მოწინავე გამოცდილების ამსახველი

და სხვა სასწავლო—თვალსაჩინო მასალების გამოფენების მოწყობა, საჭირო მუშაობებს ჩატარება. აუცილებლად მიგვაჩნია, ადმინისტრაციულ კორპუსს მიუშენდეს რამდენიმესართულიანი შენობა იმ უბანში, რომ ინსტიტუტი უზრუნველყოფილ იქნეს საღებავი აუდიტორიებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების საჭირო ოდენობით.

საერთო საცხოვრებლის შენობაც ძველია და კეთილმოუწყობელი, რბილი და მაგარი ინვენტარი საჭიროებს შეცვლას, მაგრამ, მიუხედავად სივრცისა და ცუდი პირობებისა, ყველგან სისუფთავე და წესრიგია. ამავე შენობაშია მოთავსებული № 11 სტამბა, მისი სხვაგან გადატანა და ადმინისტრაციულ კორპუსზე მიშენება გააუმჯობესებდა ინსტიტუტის პირობებს. შესაძლებელს გახდიდა მსმენელთა რაოდენობის გაზრდას.

ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიების ნაწილს შექმნილი აქვს მუშაობის ნორმალური პირობები. მოეწყო ლინგოფონის კაბინეტი, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიული ცდებისა და სადემონსტრაციო სამუშაოთა კაბინეტი, ბიოლოგიის კაბინეტებთან — ტექნიკური საშუალებათა კაბინეტი აღიჭურვა საჭირო სასწავლო—ტექნიკური აპარატურით. კაბინეტ-ლაბორატორიებს (ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ბიოლოგიის) დიდი რაოდენობით აქვთ ხელსაწყო—იარაღები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ შეესაბამება ახალ პროგრამებს, ამიტომ საჭიროებენ უახლესი თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით შევსებას.

### III. ინსტიტუტისა და მეთოდკაბინეტების საქმეში გეგმების შესახებ

ინსტიტუტის დირექციას შემუშავებული აქვს 1975 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ. გეგმა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს: I. ინსტიტუტის სასწავლო—მატერიალური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებანი; II. მეთოდურ—სემინარული მუშაობა; III. მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა—განზოგადება; IV. მუშაობა მასწავლებელთა და ხელოვნების ინსტიტუტებსა და თბილისის საქალაქო ინსტიტუტთან; V. ინსტიტუტის საბჭოს მუშაობა; VI. მუშაობა საბჭოთა, ადმინისტრაციულ და ფინანსურ დარგში; VII. ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა-ანგარიშგება. გეგმის შინაარსი გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრა-

ლური კომიტეტის ცნობილი დადგენილებებიდან, რომლებიც ეხება ბე-  
ლორუსის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შე-  
რჩევასა და აღზრდისათვის მუშაობას და თბილისის 24-ე სექტორში  
სასწავლო-აღმზრდელიობით მუშაობის მდგომარეობას; აგრეთვე სსრკ  
განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინი-  
სტროს ბრძანებებიდან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის  
მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. გეგმა მეტად მრავალ-  
ფეროვანია და მოიცავს ინსტიტუტის მუშაობის ყველა სფეროს. თი-  
თოეულ განყოფილებაში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიე-  
ბანი, მითითებულია შესრულების ვადები („წლის მანძილზე“, „კვარტა-  
ლების ან თვეების მიხედვით“, პერსონალუ<sup>დ</sup>ი პასუხისმგებელი შე-  
სრულებისათვის). ინსტიტუტის დირექციას გაწეული აქვს დიდი მუშა-  
ობა აპარატის სრულყოფის, კათედრათა და მეთოდკაბინეტების მუშაო-  
ბის გაუმჯობესების, საკურსო ღონისძიებათა შეუფერხებლად ორგა-  
ნიზების საქმეში; ინსტიტუტს შესრულებული აქვს აგრეთვე საზო-  
გადოებრივი აქტივობის შინაარსის ბევრი გეგმიური თუ გეგმისგარე-  
შე დაელება.

მაგრამ, ჩვენი აზრით, საინსტიტუტო გეგმა ერთობ დაწვრილ-  
მანებულა (100—ზე მეტი საკითხი); ფაქტიურად აქ შესულია კათე-  
დრებისა და მეთოდკაბინეტების თითქმის ყველა ღონისძიება.

ზოგ შემთხვევაში განყოფილებებში შესული საკითხები არ შეე-  
საბამება ამ განყოფილების შინაარსს. ასე მაგალითად, განყოფილებაში  
— „ინსტიტუტის სასწავლო—მატერიალური ბაზის გაუმჯობესების  
ღონისძიებანი“ — შესულია საკითხები: „კათედრის წევრთა გაპირო-  
ვნება ინსტიტუტის მეთოდკაბინეტზე“; „ინსტიტუტის მუშაკთა გაპი-  
როვნება რაიონებზე და საბჭოს სხდომაზე დამტკიცება“.

ამასთან, გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი წლის  
მანძილზე საკმაო სისრულით არ განხორციელდა. ასეთია, მაგალითად:  
მეთოდური კაბინეტების ლექციების ტექსტების განხილვა—დამტკიცება  
ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე; მასწავლებელთა თვითგანათლების  
საორიენტაციო თემატიკისა და გეგმების ნიმუშების შედგენა და  
და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა მეთოდური  
კაბინეტისათვის დაგზავნა (შეასრულა მხოლოდ რამდენიმე მეთოდ-  
კაბინეტებში); სწავლა-აღზრდის ერთ რომელიმე აქტუალურ საკითხზე  
ინსტიტუტის თითოეული მუშაკის მკერ მეთოდური წერილის დაწერა,

როტატორზე გადამრავლება და რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა მეთოდური კაბინეტებისათვის დაგზავნა; საზოგადოებრიობასთან, საშეფო დაწესებულებებთან და მშენებლებთან მუშაობის ორგანიზაციული ფორმების შესახებ მეთოდურ მუშაობას ციათა შედგენა; მასწავლებელთა და სასკოლო კოლექტივების იდეურ— აღმზრდელობითი მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარდგენა; მეთოდური კაბინეტების მიერ პედაგოგიური მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების გეგმების შედგენა და ინსტიტუტის თითოეული მუშაკის მიერ ერთი მოხსენების დაწერა მოწინავე მასწავლებლის (სკოლის სხვა მუშაკის) მუშაობის გამოცდილების განზოგადებისათვის; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში „მეცნიერები სკოლას“ ბონაწილეობის მიღება და სხვ.

მეთოდკაბინეტების სამუშაო გეგმების უმრავლესობა აქტუალურია, მაგრამ ზოგიერთი საკითხი, შეუსრულებლობის გამო, კვარტალიდან კვარტალში გადადის. გეგმით გათვალისწინებულია კურსგავლილი მასწავლებლების მუშაობის ეფექტურობის შემოწმება, მაგრამ ამ შემოწმების აღრიცხვა მეთოდკაბინეტების უმრავლესობას არ გააჩნია. გეგმების შესრულების მდგომარეობა სისტემატურად აღირიცხება, მეთოდკაბინეტების გამგეები ინსტიტუტის დირექციას უდგენენ წერილობით ანგარიშებს გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ; დირექცია საკმაო სიმკაცრით არ აკონტროლებს მეთოდკაბინეტების; წერილობით ანგარიშებს 5-დღიანი სემინარიების ჩატარების შესახებ, არ ეცნობა მოხსენებით ბარათებს, რომლებსაც მეთოდისტები უვზავნიან რაიონის ხელმძღვანელებს ადგილებზე მუშაობის გაცნობის შედეგებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ინსტიტუტის გეგმიანობა გარკვეულ სტანდარტიზაციას საჭიროებს. ჯერ ერთი, უნდა დაისვას საკითხები, რომლებიც საინსტიტუტო და მეთოდკაბინეტების ან კათედრების გეგმებში უნდა შევიდეს; განიტვირთოს ისინი მეორეხარისხოვანი და ფორმალური საკითხებისაგან გაძლიერდეს კონტროლისა და პასუხისმგებლობის სისტემა გეგმების შესრულებისადმი. მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკური ინსტიტუტი 1976 წლამდე ფილიალებს თვით უვზავნიდა სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, რითაც ყველა რგოლში აღწევდა მუშაობის კოორდინაციას. ახლა, როდესაც ფილიალები დამოუკიდებელ

ერთეულებად იქცნენ; მათ შორის მუშაობის კოორდინირების რიგში ახალმა ფორმამ დოკუმენტაციაშიც უნდა პოვოს სათანადო ასახვა.

#### IV. ინსტიტუტის საბჭოს მუშაობა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ინსტიტუტში ჩამოყალიბებულია საბჭო, რომელიც აერთიანებს ინსტიტუტსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებებისა და სკოლის მუშაკთა ფართო წარმომადგენლობას. საბჭო იკრიბება პერიოდულად და განიხილავს ინსტიტუტის მუშაობის ძირითად საკითხებს, ამტკიცებს საკურსო ღონისძიებათა გეგმებსა და თემატიკას, მსჯელობს ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა განხორციელებაზე და ა. შ.

საბჭოს შემადგენლობა საკმაოდ მოძველებულია. საჭიროა მისი გადახალისება.

1975 წლის განმავლობაში შედგა საბჭოს 6 სხდომა (დაგეგმილი სხდომების ნაწილი არ ჩატარდა დირექტორის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო).

მეთოდკაბინეტთან არ არის შექმნილი სასწავლო-მეთოდური საბჭოები (გარდა დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტებისა), მაგრამ მათ ფუნქციას ასრულებს კაბინეტთან შემოკრებილი აქტივი, რომლის თითოეული წევრი ჩაბმულია საკურსო და სემინარულ ღონისძიებებში, ეწევა ნაყოფიერ მუშაობას. ინსტიტუტის პრაქტიკაში დამკვიდრებული არ არის მონათესავე დარგის მეთოდკაბინეტების გაერთიანებული სხდომები და საკითხების ერთობლივი განხილვა და სხვა სასარგებლო ღონისძიებები ჩატარება.

#### V. საკურსო ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობა

მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა 1971—1975 წლებში დიდი მუშაობა გასწია ახალი პროგრამების შემოღებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა გადამამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კურსები ტარდებოდა განახლებული თემატიკით, სასწავლო გეგმით, რომლებიც, არსებული წესის შესაბამისად, მტკიცდებოდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ. თემატიკაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ცალკეული საგნების მასწავლებელთათვის სწავლების ახალი შინაარსის საფუძვლიან გაცნობას, მათ მომზადებას ახალი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და დიდაქტიკური თვალსაზრისით, შეიარაღებას მეთოდიკური ხერხებითა და საშუალებებით, თემატიკასა და სასწავლო გეგმებში წინა პლანზე წამოიწია აგრეთვე მოსწავლეთა იდეურ—პოლიტი-



კური, ზნეობრივი აღზრდისა და აღმზრდელობითი სწავლების საკითხებმა, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების შესაბამისად სკოლის სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობის სფეროში უფრო აშკარად გამოვლინდა.

ინსტიტუტი მიმართავდა მასწავლებელთა გადამზადების სხვადასხვა ფორმებს, როგორცაა:

1. ერთთვიანი კურსები
2. ორკვირიანი კურსები
3. დასწრებულ-დაუსწრებელ კურსები (3 ნაკადად, 50 დღის განმავლობაში)
4. ერთკვირიანი სემინარები ადგილებზე.

მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ძირითადი ფორმაა ერთთვიანი და ორკვირიანი კურსები, რომლებიც ტარდება წარმოებისაგან მოწყვეტით.

ინსტიტუტმა განახორციელა ღონისძიებები კურსების დიფერენცირებულ ორგანიზაციისათვის: ნაკადებში აერთიანებდა ერთნაირი მომზადებისა და გამოცდილების მასწავლებლებს, ცალკე გამოყოფდა შედარებით სუსტებს, რაც შესაძლებლობას ქმნიდა განსხვავებული საკურსო მუშაობის აგებისათვის.

მასწავლებელთა მომზადებისადმი დიფერენცირებული მიდგომის შედეგად დამკვიდრდა შედარებით ხანგრძლივი (50—დღიანი) დასწრებულ—დაუსწრებელი კურსები იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც ამჟღავნებენ განსაკუთრებით დაბალ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, აქვთ სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი შედეგები. ამ მასწავლებელთათვის კურსები ეწყობა 3 ნაკადად, მათ ეძლევათ სპეციალური საკურსო დავალებანი (თემები), ლიტერატურის სიები თვითგანათლებისათვის და სხვ. რომლებსაც ისინი ამუშავებენ და წარმოუდგენენ კურსების ხელმძღვანელებს.

გარდა ამისა, ინსტიტუტის კათედრებისა და კაბინეტების თანამშრომლები ცდილობენ მკვიდრო კონტაქტი ჰქონდეთ მასწავლებლებთან, შეისწავლონ მოწინავე გამოცდილება და განახოგადონ იგი. ეს ხდება ადგილებზე მასწავლებელთა მუშაობის შესწავლით, გაკვეთილებზე დასწრებით, მასწავლებელთა მონაწილეობით, ხუთდღიანი სემინარების ჩატარებით და სხვ.

ისევე როგორც დასწრებულ-დაუსწრებელი კურსები, ხუთდღიანი სემინარების პრაქტიკაც წახალისების ღირსია: მეთოდისტები ორგანიზებულად მიემგზავრებიან რესპუბლიკის ამა თუ იმ რაიონში,

რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობიან სკოლების მუშაობას. ესწრაფვიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აწყობენ ღია მეცადინეობებს, სწავლობენ რაიონული მეთოდკაბინეტების მუშაობას; შემდეგ მუშაობენ 20-საათიან სასემინარო კურსს, რომლის დროსაც აანალიზებენ ადგილობრივი სკოლების მასწავლებელთა გამოცდილებას. გამოხმაურებანი გვარწმუნებს, რომ მასწავლებლები ასეთ სემინარებზე დებულობენ კარგ დახმარებას, რჩევა—დარიგებებს, რაც ხელს უწყობს მათი მუშაობის გაუმჯობესებას. საჭიროა ინსტიტუტის საბჭომ, კათედრებმა განაზოგადონ ცალკეული კაბინეტების დადებითი გამოცდილება ხელდღიანი სემინარების ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

საკურსო ღონისძიებათა ხარისხის ამაღლებაზე დადებითი გავლენა მოახდინა ინსტიტუტში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრების შექმნამ, ისინი ამა თუ იმ ფორმის კურსებსათვის. ამუშავებენ თემატიკას პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში; მათი ხელმძღვანელობით მეთოდკაბინეტები მონაწილეობენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ჩატარებულ თეორიულ—პრაქტიკულ კონფერენციებში, ატარებენ ლექციების ციკლს პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და საბჭოთა პედაგოგიკის აქტუალურ საკითხებზე, აქვეყნებენ სტატიებს პედაგოგიური გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, გამოაცემულია რამდენიმე შრომაც. გარდა ამისა, კათედროცის წევრები მიმაგრებულნი არიან ცალკეულ კაბინეტებზე და სისტემატურ დახმარებას უწევენ მათ სასწავლო გეგმების შედგენაში, მასწავლებლებთან მუშაობის ფორმების სრულყოფაში, პედაგოგიური პრესისათვის სტატიების მომზადებაში და ა. შ. ამასთანავე, მეთოდისტთა თეორიული მომზადების სისტემაში, ჩვენი აზრით, აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული ისეთი გზები და ფორმები, როგორცაა: 1. თეორიული მომზადების ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც კათედრებთან შეთანხმებით უნდა შედგეს; 2. სისტემატური ხასიათის საინსტიტუტო თეორიული სემინარები, რომელთა წლიური გეგმა, სასურველია, განიხილოს მეთოდურმა საბჭომ; 3. მეთოდისტთა ლექციების საჯარო მოსმენა და განხილვა საბჭოზე, კათედრათა და კაბინეტების გაერთიანებულ სხდომებზე; 4. ყველა მეთოდისტი ყოველწლიურად განსახილველად ადგენს ერთი-ორი ლექციის წერილობით ტექსტს და დებულობს მათზე წერილობით რეცეზიებს; 5. ყველა ლექტორი ლექციაზე უნდა შედიოდეს წინასწარ დამუშავებული ლექციის გეგმით და სხვ.

ინსტიტუტი სისტემატურ დახმარებას უწევს თბილისის, ქუთაი-

სის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს: აძლევს მათ სასწავლო გეგმების, თემატიკის ნიმუშებს, უზიარებს გამოცდილებას სხვადასხვა ფორმის კურსების ორგანიზებაში, ეხმარება ლექტორთა კადრების შერჩევაში და სხვ.

გარდა საკუთარი ძალებისა, ინსტიტუტი ცდილობს კურსებზე ლექციების წასაკითხავად და პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად მოიწვიოს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების კვალიფიციური სპეციალისტები, მოწინავე პრაქტიკოს-მასწავლებლები, განათლების დარგის მუშაკები.

მეთოდკაბინეტები სათანადოდ ზრუნავენ კურსების მსმენელთა კულტურული მომსახურებისათვის, ეწყობა კოლექტიური დასწრება სპექტაკლებზე, ექსკურსიები, შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის მუშაკებთან, ცნობილ მეცნიერებთან. შორეული ექსკურსიების მოწყობა მნიშვნელოვნად ფერხდება ავტობუსის უქონლობის გამო.

ინსტიტუტმა დროულად შეადგინა 1976—80 წწ. საკურსო დონისძიებათა ხუთწლიანი გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია ყოველწლიურად მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ჯგუფების რაოდენობა. მეთოდურ კაბინეტებს შედგენილი აქვთ მასწავლებელთა სიები, რომლის მიხედვითაც აკომპლექტებენ კურსებს.

შემოწმების პერიოდში კომისიის წევრებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ საფუძვლიანად გაცნობოდნენ კურსების მუშაობას—ზოგიერთი გამოწკლისის გარდა, ისინი არ ტარდებოდა. მოსმენილ იქნა მხოლოდ რამდენიმე ლექცია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა, საბავშვო ბაღების აღმზრდელთა ერთთვიან კურსებზე, მოეწყო გასაუბრება მასწავლებლებთან.

ინსტიტუტის საკურსო მუშაობის აეკარგინაობა შეფასდა კათედრების, მეთოდკაბინეტების გეგმების ანალიზისა და კაბინეტის გამგეებთან და მეთოდისტებთან საუბრების საფუძველზე.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კურსების დიფერენცირებულად ე. ი. მასწავლებელთა მომზადებისა და მეთოდური დახელოვნების შესაბამისად ორგანიზების პრინციპი, უფრო ხშირად, დაცული არ არის. მეთოდკაბინეტების ერთი ნაწილი კურსებს აწყობს ისე, რომ ანგარიშს არ უწევს ცალკეული მასწავლებლების გამოცდილების ხასიათს, განათლებისა და თეორიულ-პედაგოგიური მომზადების დონეს, ნაკითხობას. ამ პირობებში ერთ ჯგუფში ექცევა მასწავლებელი, რომე-

ლიც აშკარად ვერ ართმევს თავს პედაგოგიურ შრომას ან იხვეწება საშუალო პედაგოგად და მასწავლებელი, რომელიც ავლენს შემოქმედებითობას, თავის მუშაობაში აქტიურად ნერგავს ახალ ხეყნებსა და საშუალებებს, აღწევს საუკეთესო სასწავლო-აღმზრდელი მეთოდებს. ყველა ამ კატეგორიის მასწავლებელთათვის კურსების თემატიკა, ლექციების შინაარსი ერთნაირია, რაც, ბუნებრივია, მასწავლებელთა ნაწილის ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევს.

საჭიროა დახელოვნების ინსტიტუტმა საგანგებოდ იზრუნოს შემოქმედი, მაძიებელი პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციაზე, მათთვის განსაკუთრებული სასწავლო გეგმისა და თემტიკის შემუშავებაზე. ინსტიტუტმა უნდა წაახლისოს ასეთი მასწავლებლები, აღრიცხოს ისინი და განაზოგადოს მათი გამოცდილება, კიდევ უფრო მეტი თეორიული ცოდნა და გამოცდილება შესძინოს მათ და ამით ახალ საფეხურზე აიყვანოს პედაგოგიური პრაქტიკა.

შემოქმედი, მოწინავე პედაგოგებისათვის ინსტიტუტი არ გეგმავს სპეციალურ საკურსო ღონისძიებებს.

საკურსო ღონისძიებათა განხორციელების დამკვიდრებული სისტემა დღევანდელ პირობებში არ შეიძლება გვაკმაყოფილებდეს. კურსების სასწავლო გეგმაში ჭარბობს ლექციური მუშაობა, თემატიკაში გათვალისწინებული არ არის სასემინარო საათები ამა თუ იმ თემებზე დისკუსიებისათვის, მასწავლებელთა დამოუკიდებელი თეორიული მომზადებისათვის. მასწავლებელთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყენებული არ არის ტექნიკური საშუალებანი — მავნიტოფირზე ჩაწერილი ლექციების მოსმენა, ამავე საშუალებით კონსულტაციების მიღება თემების დამუშავებისათვის და სხვ.

კურსების პერიოდში მასწავლებლებს ყოველთვის არ აცნობენ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებას, გამონაკლის წარმოადგენს ღია გაკვეთილებზე დასწრება და სასემინარო მუშაობაში მათი ანალიზი, კურსების მსმენელთა მიერ საჩვენებელი გაკვეთილების გადაცემა და ა. შ.

კურსების თემატიკა ცალკეულ დისციპლინაში ზოგადია და არ იძლევა ორიენტაციას იმაზე, თუ რა სიახლენი უნდა გავცნოს მასწავლებლებს, რა ახალ გამოცდილებას უნდა დაეუფლონ ისინი. ლექტორებს ეძლევათ მხოლოდ ლექციების თემების ზოგადი ფორმულირება, მაგრამ არ ეძლევათ რჩევა—როგორი გეგმით, რა შინაარსით აავსონ იგი, რას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რა კითხვები დაუსვან მსმენელებს, რა ტექნიკური საშუალებები გამოიყენონ, როგორ ჩააბან მასწავლებლები დამოუკიდებელ მუშაობაში, რა ლიტერატურა

შესთავაზონ გასაცნობად და ა. შ. გამოდის, რომ ლექციების შინა-  
რისი გახსნა მთლიანად ლექტორზეა მინდობილი, რაც არ შეიძლება  
ყველა ვითარებაში გამართლებული იყოს. აქვე შევნიშნავთ, რომ  
ბევრ შემთხვევაში სალექციო თემატიკა და მისი შინაარსი განხი-  
ლული არ არის კათედრათა და მეთოდკაბინეტების, ინსტიტუტის სა-  
ბჭოს სხდომებზე.

კარგად მუშაობენ ფიზიკის (გამგე გ. თალაკვაძე), უცხო ენების  
(გამგე თ. კავკასიძე), მათემატიკის (გამგე ა. ხოშტარია), გეოგრაფიის  
(გამგე მ. გოგატიშვილი), ქართული ენის (გამგე დ. ბერიძე), სკოლა-  
მდელი აღზრდის (გამგე ე. ხუბუნე), რუსული ენისა და ლიტერატუ-  
რის (გამგე რ. ალუღიშვილი), ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწე-  
სებულებათა (გამგე ს. ზიბზიბაძე), ბიოლოგიის (გამგე ქ. კემულარია),  
ქიმიის (გამგე შ. კაბანაძე) მეთოდკაბინეტები, რასაც ვერ ვიტყვით  
სხვა კაბინეტებზე.

შევვხოთ რამდენიმე მეთოდკაბინეტის მუშაობის ზოგიერთ ნაკლ-  
ოვან მხარეს:

აღმზრდელითი მუშაობის მეთოდკაბინეტს (გამგე ნ. ყიფიანი),  
ჯერ კიდევ შემოღებული არ აქვს აღმზრდელითი მუშაობის ორგანი-  
ზატორთა და კლასის ხელმძღვანელთა გადამზადების დიფერენცირებუ-  
ლი სისტემა. კაბინეტის წევრები არ ესწრებიან მოწვეულ ლექტორთა  
ლექციებს, არ არკვევენ კურსების ეფექტურობას, მივლინებაში მიდიან  
მუშაობის შემოწმების მიზნით, კურსების თემატიკა შეთანხმებული არ  
არის პედაგოგიისა და ფსიქოლოგიის კათედრებთან. ხუთდღიანი სე-  
მინარების თემატიკა მოძველებულია, არაპრაქტიკული. მოუზნადებ-  
ლად ჩატარდა კლასის ხელმძღვანელთა ხუთდღიანი სემინარი კასპში.  
ადგილობრივი კლასის ხელმძღვანელების მიერ წაკითხული მოხსენებე-  
ბი შინაარსით არ უბასუხებდნენ აღზრდის თანამედროვე გამოცდილე-  
ბას, შეიცავდნენ მცდარ რეკომენდაციებს. კაბინეტი ყურადღებას არ  
ამახვილებს სიახლეთა შესწავლასა და განზოგადებაზე, მეთოდის ტიპი  
არ მუშაობენ თვითგანათლებაზე. თვით კაბინეტის გამგის, ნ. ყიფიანის  
მიერ დამუშავებულმა მოხსენებამ „კლასის ხელმძღვანელის მუშაობის  
აქტუალური საკითხები“ დიდი ხანია დაკარგა აქტუალობა, ხოლო  
მეთოდისტ ც. ლოჩოშვილის მოხსენება „უმცროსი ასაკის პიანერებ-  
თან მუშაობის ფორმები და შინაარსი“ არის მეთოდურად არასწორად  
დამუშავებული და ზერელე. კაბინეტს არა აქვს დამუშავებული რეკო-  
მენდაციები კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა დასახმარებლად.  
შედარებით კარგად მუშაობს მეთოდისტი ნ. ქავთარაძე.

ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტის თანამშრომლები (გამგე ვ. ვარძიელი) ხუთდღიან სემინარებზე ლექციებს კითხულობენ დღეისათვის ნაკლებად აქტუალურ თემებზე, მხედველობის გარეშე ტოვებენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხებს, ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდების პოპულარიზაციას. მოხსენებით ბარათებში, მოსმენილი გაკვეთილების შესახებ, რომლებიც დაეგზავნათ ადგილებზე განაოლების განყოფილებებსა და მეთოდკაბინეტებს, ხშირად მოცემულია ტრაფარეტული და პრიმიტიული რეკომენდაციები:

„საპროგრამო მასალა გადასცენ სრულად და ზუსტად“;

„საპროგრამო მასალა დაუკავშირონ თანადროულობას“;

„მოსწავლეებს აწარმოებინონ რუკები“;

„გაკვეთილზე მოახდინონ ტერმინებისა და ცნებების სწავლება“ და ა. შ.

კაბინეტი, კურსების დაკომპლექტებისას, მასწავლებელთა არავითარ დიფერენციაციას არ ახდენს. იგი არ ზრუნავს მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებაზე.

დაწყებითი სწავლების მეთოდკაბინეტი (გამგე შ. მამალაძე) კურსებს არ აკომპლექტებს დიფერენცირებულად, მასწავლებელთა ცენტრის, სტაჟისა და მომზადების გათვალისწინებით. ლექციების თემატიკა მშობლიური ენის მეთოდოლოგიაში არ ასახავს დაწყებითი სწავლების გარდაქმნის მიმართულებას, რეცეპტული ხასიათისაა და მასწავლებლებს არ უბიძგებს შემოქმედებითი მუშაობისაკენ. კაბინეტი არ იხილავს არც თავისი მუშაობის, არც მოწვეულთა ლექციების შინაარსს.

ხაზვის (მეთოდისტი ი. ჩახავა) და სახვითი ხელოვნების (მეთოდისტი პ. ნეკერიშვილი) მეთოდკაბინეტის მუშაობა მთლიანად არადაამაკმაყოფილებელია. ფაქტიურად ჩაშლილია ხაზვის მასწავლებელთა გადამზადების საქმე, არადაამაკმაყოფილებელია სახვითი ხელოვნების მასწავლებელთა კურსები სტაჟისა და გამოცდილების მიხედვით. სპეციალისტი და არასპეციალისტი პედაგოგები ერთად გადიან თეორიულ და პრაქტიკულ კურსს. სალექციო და პრაქტიკულ სამუშაოთა ნაწილი თემატიკურად ვერ უბასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. მასწავლებლებს კურსებიდან მიაქვთ გაკვეთილების გეგმის რეცეპტული ნიმუშები, რომლებიც არ შეესაბამება სწავლების ახალ შინაარსსა და მიმართულებას. სკოლათმცოდნეობის მეთოდკაბინეტი (გამგე ვ. ფოცხვერაშვილი) კურსებზე მსმნელებს აძლევს გეგმის ნიმუშებს, რომლებიც

არ შეესაბამება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის სტრუქტურასა და შინაარსს.

დაწყებითი სამხედრო მომზადების მეთოდკაბინეტს (წინამდებარე გეგმის მიხედვით) დღემდე არა აქვს შემუშავებული წრებობრივი შემაჯობის თემატიკა, არ გადაუმზადებია სამხედრო-ტექნიკური მომზადების პროფილების — ავტოსაქმისა და სატრაქტოროსაქმის მასწავლებლები.

პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრებმა, ჯერჯერობით, ინსტიტუტის მეთოდკაბინეტებს ვერ მისცეს იმის სათანადო ნიმუშები, თუ როგორ მოისმინონ და განიხილონ ლექციები, როგორ შეისწავლონ და განაზოგადონ მოწინავე გამოცდილება, ისინი არ აწყობენ გაერთიანებულ სხდომებს მეთოდკაბინეტებთან ერთად ამა თუ იმ საერთო საკითხის განსახილველად, არ შეუქმნიათ სანიმუშო ლიტერატურის სია მეთოდისტთა დამოუკიდებელი თეორიული მომზადებისათვის.

მეთოდკაბინეტების პრაქტიკაში საკმაოდ არ არის დამკვიდრებული მასწავლებლებთან წინასაკურსო და კურსებისშემდგომი მუშაობის სისტემა. რაკი უმრავლეს შემთხვევაში არ ხდება კურსების დაკომპლექტება მასწავლებელთა გამოცდილების, მომზადების მიხედვით, არც მათთან წინასწარ მუშაობის აუცილებლობა იქნება და, გამომდინარე აქედან, არც დიფერენცირებული თემატიკა და სასწავლო გეგმები დგება. მეთოდკაბინეტების უმრავლესობას არ შეუსწავლია და არ აღურიცხავს, რა სარგებლობა მოუტანა მასწავლებლებს გადასამზადებელმა კურსებმა, როგორ ამაღლა მათი მეთოდური დახელოვნება და კვალიფიკაცია. ინსტიტუტმა ვერ შეძლო პრაქტიკაში დაენერგა ჩათვლების სისტემა, კურსების დასასრულს მასწავლებლებთან გასაუბრების რაციონ ლური წესი. არ ხდება იმის საფუძვლიანი და სერიოზული გამ.ავლინება, თუ რით მოვრდა და ახალი რა წაიღო მასწავლებელმა კურსებიდან, რით გამდიდრდა მისი პედაგოგიური გამოცდილება.

IV კლასის მაოემატიკისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კურსების მსმენელების ანკეტურმა გამოკითხვამ, ვინაობის აღნიშვნის გარეშე, გვიჩვენა, რომ ყველაფერი რიგზე არაა მასწავლებელთა ვადამზადების საქმეში. ეს კითხვები იყო:

1. რა ახალი აზრი და გამოცდილება მიგაქვთ კურსებიდან?
2. რომელი ლექტორის ლექციებით ხართ განსაკუთრებით კმაყოფილი?
3. რა ახალ მეთოდურ ლიტერატურას გაეცანით?
4. დედაქალაქის რომელი სკოლების მუშაობას გაეცანით?

IV კლასის მათემატიკის მასწავლებელთა კურსების მსმენელთა ნაწილმა პირველ კიბევაზე შემდეგი შინაარსის პასუხები მოგვცა:

„არავითარი, უფრო მეტს მოველოდით“;

„ჩვენ მოწვეული ვიყავით IV კლასის მასწავლებელთა გადამზადების კურსებზე და ამის საპასუხოდ ვერაფერი მოვისმინეთ“;

„რაც ვიცოდით, კვლავ ის შეგვახსენეს; ზედმეტი იყო იმ ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნა, რომელსაც დამოუკიდებლად ვხსნიდით მათემატიკის ლექციებზე. ჩემი აზრით, საჭირო იყო ისეთი ამოცანების აკრეფა და ამოხსნის გზების ძიება, რომელიც უფრო მეტს მოგვეცემდა ჩვენც და ბავშვებსაც“;

„ამ კურსებიდან ვერაფერი გამოცდილება ვერ შევიძინე, კურსებზე საჭიროა ჭანიბილახ უფრო სერიოზული საკითხები, მასწავლებლებს გააცნონ სწავლების ახალი მეთოდები კონკრეტულად. საჭიროა, კურსების ხელმძღვანელობა ზრუნავდეს იმაზე, რომ მასწავლებლებისათვის საინტერესო ლექციები ჩაატარონ ლექტორებმა“;

„კურსებიდან ახალი არაფერი არ მიმაქვს თახ“;

„IV კლასის მასწავლებელთა გადამზადების თვალსაზრისით არავითარი სიახლე არ მიგოქცხია“.

მასწავლებელთა ნაწილი, რომელიც თვლის, რომ კურსებზე ახალი გამოცდილება შეიძინა, ხაზს უსვამს აცნობიერებს ამ სიახლეს („კურსებზე ყოფნისას გავიცანი ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის მეთოდებსა და ხეობებს; ცხადია, კურსებმა კიდევ უფრო აამაღლა ჩვენი ცოდნა მოსწავლეთა სწავლებისა და აღზოდის საქმეში“.

თითქმის ყველა მასწავლებელი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კურსებზე ყოფნის პერიოდში ვერ გავიცანე დედაქალაქის სკოლების მათემატიკის მოწინავე მასწავლებლების მუშაობას, კლასგარეშე და წრეთაგარეშე, აგრეთვე ფაქულტატიური მუშაობის გამოცდილებას; ან ესწოებოდნენ ღია გაკვეთილებს და ა. შ. მასწავლებელი იძლევიან წინადადებებს, გამოიყოს რომელიმე სკოლა, სადაც კურსებზე ჩამოსულ მასწავლებლებს ნებისმიერ თავისუფალ დროს შეუძლიათ დაესწოონ გაკვეთილებს. ისინი საყვედურებს გამოთქვამენ იმის გამო, რომ თბილისის 24-ე საშ. სკოლის დირექტორმა, გაურკვეველი მიზეზების გამო, არ დაუშვა ისინი გაკვეთილებზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კურსების თითქმის ყველა მსმენელი, მართალია, მეტ-ნაკლები თავშეკავებით, თვლის, რომ კურსებმა მათ სარგებლობა მოუტანა, მაგრამ აცნობიერებული არა აქვს სწავლების ახალი მეთოდების რაობა, თანამედრო-



ვე პირობებში სწავლების ხასიათი და მიმართულება. აი, მასწავლებელთა პასუხების ნიმუშები:

— „კმაყოფილი ვარ კურსებზე ყოფნით. ამ პერიოდში მსწავლებელი ახალი შევისწავლე. მავალითად: უფრო უკეთესად შემიძლია ვსწავლიდი დიდტანიანი ნაწარმოებები და ლირიკული ლექსი, ქართულ ენაში კი — როგორ ვასწავლო რთული წინადადება, რომ გრამატიკის გაკვეთილებზე გამოვიყენოთ თვალსაჩინოება, ნახატები, ამ ნახატებზე წინადადებების შედგენა, სხვა კიდევ ბევრი რამ“.

„კურსებზე პირველად ვარ, ასე რომ გულისყურით ვისმენ ყოველ ლექციას. რაც შეეხება გამოცდილებას, ამაზე შემდეგ შემიძლია გიპასუხოთ, თუკი რომელიმეს გამოვიყენებთ პრაქტიკულად“.

„სიახლეა, კლასში რომ აღუხსნელად მაცეთ ბავშვებს გაკვეთილი და მხოლოდ მიუვთითოთ ძირითად საკითხებზე, მაგრამ არ მიმანია მართებულად. მგონია, ვერ გამართლდება, რომ მარტო გაკვეთილით დაკმაყოფილდეთ“.

მასწავლებლები აქაც მოითხოვენ, რომ კურსებზე მეტი ადგილი დაეთმოს მოწინავე მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებას, გაკვეთილების განხილვას, სწავლების ახალი გზებისა და მეთოდების პრაქტიკულად ჩვენებას (ერთ კლასში ორი გაკვეთილის მოსმენა მათ საკმარისად არ მიაჩნიათ) ზემოთ აღნიშნული კურსების ბევრი მსმენელი გამოთქვამს საყვედურს იმის გამო, რომ კურსების პერიოდში ლექტორებთან ერთად არ წაიყვანეს თეატრში, ლექტორებს სულ ეჩქარებათ და ვერ ახერხებენ მათთან თავისუფალ საუბრებს.

კურსების თითქმის ყველა მასწავლებელი (70) გვიპასუხებს, რომ კურსებზე ყოფნის პერიოდში რაიმე ახალ მეთოდურ ლიტერატურას არ გასცნობიან, ლექტორებს არ დაუვალვებიათ მათთვის ბიბლიოთეკებში წიგნების კითხვა და არ მოწყობილა მათ ირგვლივ საუბარი.

გამოკითხვის მასალები აშკარად ადასტურებს დიფერენცირებულ კურსების მოწყობის აუცილებლობას: ზოგი კურსებმა ვერ დააკმაყოფილა, ზოგი პირიქით, თვლის, რომ აქ დიდი გამოცდილება შეიძინა, ზოგი კი თავშეკავებით აფასებს კურსებზე შექმნილ ცოდნას. ყველა ამ კატეგორიის მასწავლებელთან კურსების ხელმძღვანელები არ იჩენენ დიფერენცირებულ მიდგომას, არ აძლევენ მათ განსხვავებული სახის სასემინარო დავალებებს და ა. შ.

ხსენებულ გამოკითხვის მასალებში ისიც ჩანს, რომ ბევრი მასწავლებელი, მართლაც, სასარგებლო ცოდნასა და გამოცდილებას იძენს, აქტიურადაა ჩაბმული სასწავლო პროცესში, ორიენტაციას იღებს

სწავლების ახალ მეთოდებზე. გამოვლინდა მასწავლებელთა კრიტიკული დამოკიდებულება ლექტორთა ლექციების მიმართ. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მიუთითებენ, რომ მათი ბიურო ახალი ცოდნა შეიძინეს მ. თაბორიძის, რ. ვაბეჩავას, ლ. ჭიშვილის, ვ. გულდამაშვილის, ა. დავითიანის, გ. ჯავახიშვილის, დ. ბერიძის, ე. სურგულაძის, ა. მიშველაძის, გ. სამსონაძის ლექციებით. აღნიშნავენ ზოგიერთი ლექტორის მუშაობის დადებით თავისებურებას: ლექციების აგებას პრობლემური პრინციპზე. ამასთან, მიუთითებენ იმასაც, რომ ზოგიერთმა ვერ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები: „წულაძის ლექციამ, რომელსაც უნდა გაერკვია IX კლასში ქართული ენის სწავლების საკითხები, მე არაფერი მომცა“.

მათემატიკის მასწავლებელთა კურსებზე ერთსულოვნად მიუთითებენ რ. ოვანიანის ლექციების მაღალ ხარისხზე, მოითხოვენ, რომ მას უფრო მეტი დრო დაეთმოს. კმაყოფილებას გამოთქვამენ აგრეთვე ა. ხოშტარიას, ა. დოლიძის, გ. მელიქიძის, გ. მერაბიშვილის ლექციების გამო.

ფიზიკობთ, საჭიროა გაუმჯობესდეს სპეციალობებში მოწვეულ ლექტორთა ხარისხობრივი შემადგენლობა. პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში, კერძო მეთოდოლოგიაში, სასკოლო ჰიგიენასა და ზოგიერთ მომხდნავე მეცნიერებებში უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში ლექციების წასაკითხად ინსტიტუტმა მოიწვია 212 კაცი. მათგან 74—პრაქტიკოსი მასწავლებელი, 77—ხელმძღვანელი მუშაკი და რაიონული მეთოდკაბინეტის მეთოდისტი, 21—მეცნიერი მუშაკი (ხარისხის გარეშე), 40 მეცნიერებათა კანდიდატი, 18 მეცნიერებათა დოქტორი. ამასთან, შეინიშნება, რომ ამა თუ იმ ცალკეულ დარგში ლექციებს კითხულობდნენ ერთი და იგივე ადამიანები, როცა შესაძლებელია მოიწვიონ სხვა კვალიფიციური სპეციალისტებიც.

განსაკუთრებით საეჭვოდ გამოიყურება იმ ლექტორთა შემადგენლობა, რომლებიც რაიონებში გამართულ კურსებზე კითხულობენ ლექციებს. არის შეთხვევები, როცა ერთი და იგივე კაცი, არასპეციალისტი, ლექციებს კითხულობს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. ძალიან ხშირად, მასწავლებელთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლის პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომელთა კვალიფიციური მომზადებისა და კომპეტენტურობის შესახებ ინსტიტუტს სათანადო მასალები არ გააჩნია. აზერბაიჯანული და სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კურსების ლექტორთა

შემადგენლობა მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს. ზოგჯერ ცალკეულ მეთოდიკებში ლექციებს კაობულობენ სხვა დარგის სპეციალისტები.

სტაჟიორ და ახალგაზრდა მასწავლებლებთან ინსტიტუტის მიერ დღემდე ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

## VI. საფინანსო და სამეურნეო მდგომარეობა,

### შრომის დისციპლინა

ინსტიტუტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია ჩატარდა 1975 წლის 1/VII-მდე.

1975 წელს საკურსო-ლონისძიებათა გეგმა გამოიყურებოდა შემდეგნაირად: გეგმით გათვალისწინებული იყო ჩატარებულიყო:

1. წარმოებიდან მოწყვეტით: 106 ჯგუფის მეცადინეობა, ფაქტიურად მოეწყო 104, უნდა გამოცხადებულიყო 3180 მსმენელი, ფაქტიურად ესწრებოდა—3322, მათ შორის კურსები დაამთავრა 3311 კაცმა.

2. წარმოებიდან მოუწყვეტლად—117 ჯგუფის მეცადინეობა, ფაქტიურად მოეწყო—104, უნდა გამოცხადებულიყო 3510 მსმენელი, ფაქტიურად გამოცხადდა 3974, მათ შორის კურსები დაამთავრა 3938 კაცმა.

საახგარ.იშო პერიოდში, გეგმით გათვალისწინებული 223 ჯგუფის ნაცვლად, იმუშავა 222 ჯგუფმა, რომელსაც უნდა დასწრებოდა 6690 მსმენელი, ფაქტიურად დაესწრო 7249 მსმენელი (108%), მათ შორის დაამთავრა 7249 კაცმა.

1975 წელს ინსტიტუტის პერსონალი დაკომპლექტებული უნდა ყოფილიყო 115 ერთეულით, 169,7 ათასი მანეთის ხელფასის ფონდით. ფაქტიურად საახგარ.იშო პერიოდში ინსტიტუტში ირიცხებოდა 110 ერთეული, რომელზედაც გაიკა ხელფასის სახით 149,5 ათასი მანეთი. ამრიგად, ხელფასის ფონდში მიღებულია ეკონომია 20,2 ათასი მანეთი. ინსტიტუტის მთელი შემადგენლობიდან რეგისტრირებულია საფინანსო ორგანოებში 19 ერთეული, 1573 მან. თვიური ხელფასის ფონდით. ეს პერსონალი მაღლიანად დაკომპლექტებულია.

ინსტიტუტის ძირითადი პერსონალის ხელფასის დარიცხვა ხდება ბუღალტერიის მიერ, აღრიცხვის ფურცლის (ტაბელი) საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია ინსტიტუტის დირექტორის ან მისი მოადგილის მიერ.

დახელოვნების ინსტიტუტის ლექტორთა ხელფასების დარიცხვის დოკუმენტაციას ადგენენ კაბინეტის გამგეები. ამ ცნობების საფუძველზე ბუღალტერია ადგენს უწყისებს, რომელთაც ადასტურებს რეკტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

ინსტიტუტის მსმენელთა მიმოსვლის ხარჯებისა და სტიპენდიების ანაზღაურება ხდება კურსების გამგის მიერ შედგენილ მსმენელთა დემოგრაფიული ცნობების საფუძველზე. უწყისების განაღდებას ადასტურებს კურსების ხელმძღვანელი და ჯგუფხელი.

ინსტიტუტში დებიტორული დავალიანება 1976 წლის 1/I-სათვის შეადგენს 496 მან, 94 კაბ., რაც შემცირებულია დოკუმენტური რევიზიის ჩატარების პერიოდთან შედარებით 1454 მანეთით.

კრედიტორული დავალიანება ამავე პერიოდისათვის შეადგენს 1677 მანეთს.

ანგარიშვალდებულ პირთა მდგომარეობა ინსტიტუტში ასე იქნა: დებიტორული 149 მან. 80 კაბ., კრედიტორული 230 მან. 60 კაბ.

ინსტიტუტმა ძირითადი ფონდებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღწერა-ინვენტარიზაცია ჩაატარა დირექტორის 1975 წლის 26/XI—№ 618 ბრძანების საფუძველზე. ინვენტარიზაციის მასალები წარუდგენილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წლიურ ბალანსთან ერთად. ზემდგომ ორგანოებში ინსტიტუტის მიერ წარდგენილი ბალანსების ვადები დაცულია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, თავისი მუშაობის მოცულობით, საკმაოდ მოზრდილ სამეურნეო ობიექტს წარმოადგენს. მიზანშეწონილი იქნება მის შტატში დაწესდეს ეკონომისტის თანამდებობა. ეს ხელს შეუწყობდა ინსტიტუტის საქმიანობას აღრიცხვის დარგში.

ინსტიტუტის მეთოდკაბინეტების ყველა თანამშრომელმა 1975 წლის განმავლობაში ლექციები და პრაქტიკული სამუშაოები ჩაატარა დადგენილი საათების (480) ფარგლებში. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის წევრთა საშუალო წლიური დატვირთვა 300 საათით განისაზღვრა. კათედრების ცალკეულმა წევრებმა წაიკითხეს უფრო მეტი რაოდენობის ლექციები.

ინსტიტუტის დირექციამ უნდა იზრუნოს კანცელარიის მუშაობის გაუმჯობესებისა და თანამშრომელთა წასვლა მოსვლის აღრიცხვის მოწესრიგებისათვის. არის შემთხვევები, როცა კანცელარიაში ინსტიტუტიდან გასული ყველა ქაღალდი რეგისტრირებული არ არის;

სამუშაოზე გამოცხადებას ჟურნალში თანაშრომლები ხელს უწყობენ  
თვის არ აწერენ ან წინასწარ აწერენ.

ამგვარად, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ინსტიტუტის დირექცია, მეთოდკაბინეტები და კათედრები არ მუშაობენ სკოლის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომელსაც დღეს ჩვენი პარტია და მთავრობა უსახევენ სკოლასა და მასწავლებელს. დირექცია საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს მეთოდკაბინეტებს, საკურსო ღონისძიებების დროს არ ესწრება ლექციებს და არ აკეთებს მათ ღრმა და საფუძვლიან ანალიზს; საჭირო კონტროლს არ უწევს სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობას.

საჭიროდ მიგვეჩინია, საკითხი განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

კ. მაჭარაშვილი, შ. ამონაშვილი, ს. თვალთაშვილი, ი. მახარაძე, რ. გაბეჩავა, ა. ფარჯანაძე, შ. ხუნდაძე, ვ. სურგულაძე, შ. შათირი-შვილი, ა. ლომაძე, ე. გაბუნია, ღ. ჩგალობლიშვილი, ა. ვაჩანაძე, გ. მერკვილაძე, გ. შენგელია, გ. დანიელოვი, გ. ჩაჩუა, ბუგინაძე, ნ. ლალიაშვილი.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 10 მაისის ბრძანება № 467

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1976 წლის  
6 აპრილის დადგენილების — „რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის  
საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების  
ლონისძიებათა“ თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1976 წლის  
6 აპრილს განიხილა საკითხი „რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის  
საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ლო-  
ნისძიებათა შესახებ“. მიიღო სათანადო დადგენილება, რომელშიც  
აღნიშნულია, რომ ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა,  
და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგე-  
ნილებას „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გა-  
დასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდ-  
გომი განვითარების შესახებ“, რესპუბლიკის განათლების სამინისტრო,  
მისი ადგილობრივი ორგანოები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავში-  
რული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო მუშაკთა  
ნაწილი ბოლო წლებში უფრო საქმიანად ეკიდებიან მომუშავე  
ახალგაზრდობის საშუალო განათლების საქმეს.

მეცხრე ხუთწლედში საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკო-  
ლების ქსელის შენახვასა და გაფართოებას მარტო სახელმწიფო ბიუ-  
ჯეტიდან 34 მილიონზე მეტი მანეთი მოხმარდა. 26 ათასმა მუშა  
ახალგაზრდამ მიიღო რვაწლიანი განათლება, 42 ათასზე მეტმა—  
საშუალო განათლება. გარდა ამისა, მუშა ახალგაზრდობა განათლებას  
იღებს 15 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, საღამოსა და დაუსწ-  
რებელი სკოლების მოსწავლეთა აკადემიური წარმატება 1974—75  
წლებში, წინა წლებთან შედარებით რამდენადმე ამაღლდა, შემცირდა  
მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი, იკლო სკოლებიდან მოსწავლეთა  
განთესვამ, განმტკიცდა დისციპლინა.

ამასთანავე, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სერბოზულ ნაკლოვანებანი და ხარვეზებია მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების საქმეში.

16—29 წლის ასაკის 55 ათასი მუშა ახალგაზრდა არსად არ სწავლობს. მათგან რვაწლიანი განათლება არ აქვს 17,6 ათასს საშუალო—37,5 ათასს. ასეთი კატეგორიის ახალგაზრდა განსაკუთრებით ბევრია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ჭიათურაში, ახალქალაქის, გარდაზნის, დმანისის, მარნეულის რაიონებში. ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რდმელიც არ სწავლობს. მუშაობს ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა სისტემაში.

სალამოს (ცელიანი) და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შევსების გეგმა სისტემატურად არ სრულდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თბილისში, ფოთში, ტყიბულში, ამბროლაურის, დმანისის რაიონებში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სერბოზულ შეცდომებს ჰქონდა ადგილი მუშა ახალგაზრდობის სალამოსა და დაუსწრებელი საშუალო განათლების კონტინგენტის დავეგმვაში. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, განათლების სამინისტრო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო მეტბრე ხუთწლედში ადგენენ მეტბრე ხუთწლედთან შედარებით კონტინგენტის შემცირების გზას.

არსებითი ნაკლოვანებანი იყო სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. ამის შედეგად ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე (85—86%), განსაკუთრებით აფხაზეთის ასსრ, გორის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ბოლნისისა და სხვა რაიონების სკოლებში. მარტო ბოლო ორი სასწავლო წლის მანძილზე არასაპატიო მიზეზით სალამოსა და დაუსწრებელი სკოლები მიატოვა 11 ათასმა მოსწავლემ, თითქმის 6 ათასი იმავე კლასში დატოვეს. გახშირდა მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა არასაპატიო მიზეზით. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ქ. თბილისის ლენინისა და საქარხნო რაიონების, ზობის, გარდაზნის, მახარაძის, სამტრედიის, წულუკიძის, თერჯოლისა და ზნაურის რაიონების სალამოს სკოლებს.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელები და მასწავლებლები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობებს. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებს, არ აანალიზებენ მათ შინაარსსა

და ხარისხს. მიუღ რიგ საგნებს დაბალ დონეზე ასწავლიან. იქნა  
იყენებენ თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს  
მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ადვილი აქვს ფორმალური  
ლიბერალიზმის ფაქტებს.

მასწავლებლები მუდამ გულდასმით არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ უწერავენ მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვენებს, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მათ იდეურ, ზნეობრივ, მათემატიკურ და ესთეტიკურ აღზრდას. ამის შედეგად სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე, როგორც წესი, გაცილებით ჩამორჩება დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მომზადების დონეს.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების 6800-ზე მეტი მასწავლებლიდან 4000 შეთავსებულ მუშაობს, ბევრ სკოლაში პირველადი პარტიული ორგანიზაციები მცირერიცხოვანია, დაბალია მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელი მუშაობის დონე. სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების უმრავლესობას არა აქვს საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზა, როგორც წესი, ისინი მუშაობენ დღის სკოლების შენობებში.

ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის სალამოსა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა უზრუნველყოფა ძირითადი და დამხარე სახელმძღვანელოებით, ხოლო მასწავლებლებისა—სპეციალური მეთოდური ლიტერატურით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები არ ამუშავენ მეცნიერულ-მეთოდურ პრობლემებს, რომლებიც სალამოსა და დაუსწრებელი სწავლების სპეციფიკასთან არის დაკავშირებული, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების მასწავლებლების დახელოვნებას.

ზოგიერთი დარგობრივი სამინისტროსა და უწყების, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველდღიურ ინტერესს არ იჩენენ მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების საკითხებისადმი, არ უქმნიან მას სწავლისა და მუშაობის წარმატებით შეხამების პირობებს, არ აძლევენ კუთვნილ შედეგათებს, ხშირად ტვირთავენ საწარმოო დავალებებითა



და ზეგანაკვეთური მუშაობით, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ საქართველოს პირობები შეუქმნან საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ნორმალურ მუშაობას, ჯეროვნად არ აფასებენ მუშა ახალგაზრდობის მუშაობის საშუალო განათლების მიღების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობას მაშინ, როცა საშუალო განათლება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების არსებითი რეზერვია და ხელს უწყობს პიროვნების პარამონიულ განვითარებას.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ვერ უზრუნველყვეს ზემდგომი ორგანოების იმ დადგენილების შესრულება, რომელიც მიზნად ისახავს საღამოს (ცვლიანი) სკოლების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები ნაკლებად განიხილავენ მუშა ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი განათლების საკითხებს, არ ახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მაოლიანად ჩააბან ისინი საშუალო განათლებაში, ძირეულად გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელ სკოლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, აღჭურვიონ ისინი სასწავლო-მატერიალური ბაზით, განამტკიცონ პედაგოგიური კოლექტივები კვალიფიციური მასწავლებლებით, აამაღლონ პედაგოგიური კოლექტივების, სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების პასუხისმგებლობა მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისათვის.

პარტიული პრესა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მუშა ახალგაზრდობის მიერ საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმებში საშუალო განათლების მიღების საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ხელმძღვანელობს რა პარტიის XXV ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეენევის მიერ ჩამოყალიბებული დე-

ბულებებით, რომ საქართველო სახალხო განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის მუდმივი სრულყოფა, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაეხმოს დასახელებული განხორციელონ მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლება სრულყოფის, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ტექნიკუმების მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმები.

მათ უნდა მიაღწიონ, რომ საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების ადმინისტრაციამ მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან და პარტიულ ორგანიზაციებთან, მოაწყონ მათი შეფობა საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სკოლებისადმი, ფართოდ ჩააბან ისინი ამ სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოებაში, განმტკიცებასა და აღჭურვაში.

უნდა ამაღლდეს საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მუშა ახალგაზრდობამ საშუალო განათლება მიიღოს. მათ ახალგაზრდობას უნდა შეუქმნან ყველა პირობა შრომისა და სწავლის წარმატებით შეხამებისათვის. საწარმოებისა და დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების დროს, საწარმოო და ს.მეურნეო მაჩვენებლებთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს მუშა ახალგაზრდობის სწავლის ორგანიზაციის მაჩვენებლებიც.

უნდა განხორციელდეს საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი, ამაღლდეს მათი ეფექტიანობა და ბრძოლისუნარიანობა, მიაღწიონ იმას, რომ პარტორგ. ორგანიზაციები ქმნიდნენ თავიანთი შრომის შედეგებისათვის მასწავლებელთა მაღალი აქტივობისა და პასუხისმგებლობის ვითარებას. უნდა გაძლიერდეს პარტიული ფენა ამ სასწავლებელთა პედაგოგიურ კოლექტივებში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა თავიანთ შეუნილებელ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობა, შეუნილებელი ყურადღება დაუთმონ სასწავლო-აღმზრდელობით და იდეურ-პოლიტი-

კურ მუშაობას მოსწავლეებთან, •ზრუნონ მასწავლებლების იდეური და პროფესიული დახელოვნების დონის ამაღლებისათვის.

დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ავალენს ძირფესვიანად გააუმჯობესოს საღამოს (ცვლიანი) ზღაპრული რებელი სკოლების მუშაობა, აამაღლოს სასწავლო დისციპლინის სწავლების დონე, აღმოფხვრას ფორმალიზმი და ლიბერალიზმი ცოდნის შეფასებაში, სრულყოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესები და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მოსწავლეებთან; უნდა შეიმუშაოს და გამოიყენოს სწავლების ახალი ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავენ სოფლის საკონსულტაციო პუნქტებსა და დაუსწრებელი სკოლებში დისციპლინების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

უნდა ავამაღლოთ პედაგოგიური კოლექტივების, თითოეული მასწავლებლის პასუხისმგებლობა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის, ფართოდ განვაზოგადოთ და პრობაგანდა გაუუწიოთ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილებას, ვიბრძოლოთ მოსწავლეთა მეორეწლსაზიარებისა და განთესვის წინააღმდეგ, განვამტკიცოთ საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლები მასწავლებელთა კადრებით, აღმოფხვრათ დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა გაუმართლებელი შეთავსება.

უნდა მოძახადდეს და გამოიციეს სპეციალური და დამხმარე სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, მოძახადდეს თვალსაჩინოების საშუალებები, უზრუნველყოფილ იქნეს საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელ სკოლებში მომუშავე პედაგოგთა კვალიფიკაციის გეგმაზომიერი ამაღლება.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადება მიეცა საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებთან ერთად 1977—80 წლებში დაადგინოს საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა კონტინგენტის რეალური წლიური გეგმები, გაითვალისწინოს, რომ 16—29 წლის ასაკის მუშა ახალგაზრდობას მაქსიმალურად მიაღებინოს საშუალო განათლება.

დადგენილება რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს ავალენს სამი თვის ვადაში შეიმუშაონ ხუთწლიანი გეგმები, რათა მუშა ახალგაზრდობამ მიიღოს საშუალო განათლება საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების გზით.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დავებულა, რომ 1977—1980 წლებში გააძლიეროს საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა კონტინგენტი სალამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმების გამოყენებით, ძირითადად იმ გზით, რომ სწავლებაში ჩააბას რეაწლიანი განათლების მქონე მუშა ახალგაზრდობა, დასახოს და განახორციელოს ტექნიკუმების სალამოსა და დაუსწრებელი განყოფილებების მოსწავლეთა სპეციალურ დისციპლინებში ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

უმაღლესი სასწავლებლების, უწინარეს ყოვლისა, პედაგოგიური სასწავლებლების შესაბამისი კათედრების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმაში შეტანილ უნდა იქნეს მუშა ახალგაზრდობის სალამოსა და დაუსწრებელი განათლების ორგანიზაციასთან და სპეციფიკასთან დაკავშირებული პრობლემების შემუშავება.

რესპუბლიკის ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის, სასაფლო მშენებლობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და სხვა სამინისტროებმა საჭირო ღონისძიებანი უნდა განახორციელონ, რათა მუშა ახალგაზრდობას რეალური დახმარება გაუწიონ საშუალო განათლების მიღებაში, მოაწყონ სპეცუფიკუმი საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების ფართო შეფობა სალამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლებისადმი.

საქართველოს ალკც ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცა გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს იმისათვის, რომ მუშა ახალგაზრდობა ჩააბას სწავლებაში, გაააქტიუროს კომკავშირული ლაშქრობა დევიზით—„თვითველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება“. კომკავშირის რაიკომების და საქალაქო კომიტეტების, საწარმოებისა და დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პარველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა უნდა წარიმართოს მუშა ახალგაზრდობის სწავლის ხარისხის უკმდგომი გაუმჯობესების, მეორეწლიანობის, სკოლიდან განთესვის ლიკვიდაციის, ახალგაზრდა მშრომელთა სწავლისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა დროულად უნდა გამოსცენ საჭირო ტირაჟით ძირითადი, დამხმარე სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა სალამოსა და დაუსწრებელი სკოლებისათვის, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიო-მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა და რეგიონობრივმა გაზეთებმა უნდა გააძლიერონ მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების საკითხების, მოწინავე სკოლების, იმ საწარმოების, ორგანიზაციების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების პრობლემა, რომლებიც ქმედითად ეხმარებიან საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებს მუშაობაში, სისტემატურად გამოავლინონ და გააკრიტიკონ არსებული ნაკლოვანებანი ამ საქმეში, მკაფიოდ და დამაჯერებლად გააშუქონ, თუ რა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობისათვის საშუალო განათლების მიღებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნათქვამია დადგენილებაში, ხაზს უსვამს რა მუშა ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების დამთავრების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობას ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკისაგან, სახალხო განათლების ორგანოების მუშაკებისაგან, სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს ძირფესვიანად გარდაქმნან დამოკიდებულება ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი განათლებისადმი, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების საჭიროებისა და პრობლემებისადმი, განახორციელონ სახალხო განათლების დარგში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების უთუოდ შესრულების ღონისძიებანი.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილის დადგენილება—„რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საფუძვლად დაუდონ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას და უზრუნველყონ მისი ცნობრებაში გატარება;

შეიმუშაონ და განახორციელონ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სწავლების მეცნიერული, იდეურ-პოლიტიკური ღონისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისა და ამაღლების ღონისძიებანი;

ქმედითი ზომები გაატარონ მათე ხუთწლედში 16—29 წლის ასაკის იმ ახალგაზრდების სწავლებაში მაქსიმალურად ჩაბმისათვის, რომლებსაც არ აქვთ რეაწლიანი და საშუალო განათლება; <sup>ეროვნული</sup> <sup>გენერაციის</sup>

- მიმდინარე წლის მისში და ივნისში შეიტანონ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დასამტკიცებლად მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმის გეგმები საწარმოებისა და მეურნეობების მიხედვით;

უნარიანად გამოიყენონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების დახმარება და მხარდაჭერა და მიაღწიონ საღამოსა და დაუსწრე ელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას;

შეიმუშაონ სკოლების რაციონალურად განლაგების გეგმევი, გადასინჯონ ყოველი სკოლის მიკრორაიონი და, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მომავალი 1976—1977 სასწავლო წლიდან გაზარდონ სკოლების ქსელი, განსაკუთრებით სოფლად, იმ ვარაუდით, რომ ყოველ სასოფლო საბჭოში იყოს დაუსწრებელი სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები და ჯგუფები.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და ყველა ღონისძიება გაატარონ მის შესასრულებლად. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებით მიაღწიონ მოსწავლეთა ცოდნის ღონის ამღებებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლოგეის 1976 წლის 29 აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წ.  
11 მაისის ბრძანება № 472**

**დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა  
ჩარიცხვისა და გადაყვანის წესების დამტკიცების შესახებ**

რესპუბლიკის დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად,

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. წესები დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შესახებ დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა (გამგებებმა) მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ მითითებით.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ სისტემატური ზედამხედველობა დააწესოს ამ წესების შესრულებაზე და უზრუნველყოს ცხოვრებაში მათი ზუსტად განხორციელება.

4. ამ ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 20 მაისის ბრძანება № 413 და „წესები საქართველოს სსრ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შესახებ“.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 13 მაისის დადგენილება.

**მინისტრი თ. ლაშქარაშვილი**

„მ ა მ ტ კ ი ც ე ბ“  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი  
6 მაისი, 1976 წელი

## წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში  
მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის  
შ ე ს ა ხ ე ბ

1. მოსწავლეთა მიღება ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლების მოსამზადებელ და პირველ კლასებში

1. მოსამზადებელ კლასში ჩარიცხებიან ის ბავშვები, რომელ-  
თაც 1-ელ სექტემბრამდე ან მიმდინარე წლის სექტემბერში უსრულ-  
დებათ 6 წელი, 1-ელ კლასში კი ისინი, ვინც ამ დრომდე 7 წლისა  
ხდება.

2. სოფლის სკოლების მოსამზადებელ და პირველ კლასებში  
მოსწავლეები ჩარიცხებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით,  
უფრო ახლო მდებარე სკოლაში.

3. ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დაბების სკოლების  
ამ კლასებში ბავშვთა ჩარიცხვა ხდება დაწესებული მიკრორაიონების  
მიხედვით. მეზობელი სკოლის მოსამზადებელსა და პირველ კლასებში  
ბავშვის ჩარიცხვა, გამონაკლისის წესით, შეიძლება მხოლოდ იმ  
შემთხვევაში, თუ ბავშვის უფროსი და-ძმა ან მისი ოჯახის რომე-  
ლიმე სხვა წევრი სწავლობს ამ მეზობელ სკოლაში და თუ, ამასთან  
ერთად, ეს არ იწვევს მოსწავლეთა კონტინენტის შემცირებას იმ  
სკოლაში, რომლის მიკრორაიონშიც ცხოვრობს ბავშვი.

ყოველ ასეთ გამონაკლისზე სათანადო ნებართვას იძლევა რაი-  
ონის, ქალაქის განათლების განყოფილება, ქ. თბილისში კი რაიონუ-  
ლი განათლების განყოფილებანი.



4. მოსამზადებელსა და პირველ კლასებში მოსწავლეთა ჩარევ-  
ვა, სასწავლო წლების მიხედვით, ფორმდება სათანადო ბრძანების  
წიგნში.

ეროვნული  
შეზღუდვის

II. მოსამზადებელი კლასებისა და I—IX კლასების  
მოსწავლეთა გადაყვანა სკოლიდან სკოლაში

5. მოსწავლეები, როგორც წესი, სწავლობენ იმ მიკრორაიონის  
სკოლებში, სადაც მათი დედ-მამა ან მათი შემცვლელი პირები ცხოვ-  
რობენ. მოსწავლის გადაყვანა სხვა სკოლაში შეიძლება დაშვებულ  
იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი იცვლის საცხოვრებელ  
ადგილს.

შენიშვნა: სხვა პირობებში ერთი სკოლიდან მეორეში მოს-  
წავლის გადაყვანა ხორციელდება სკოლის დირექტორის დასაბუთებული შეამდგომლობის სა-  
ფუძველზე, ქალაქის, რაიონის განათლების გან-  
ყოფილების ნებართვით.

6. მოსწავლეთა გადაყვანის ნებართვას მოსამზადებელი კლასი-  
დან მეცხრე კლასამდე (ჩათვლით) იმ სკოლის დირექტორის მიერ  
გაცემული დასაბუთებული შეამდგომლობის საფუძველზე, რომლი-  
დანაც მოსწავლე გადადის, იძლევიან რესპუბლიკის ქალაქებისა და  
რაიონების შესაბამისი სახალხო განათლების განყოფილებები.

შენიშვნა: ერთი სკოლიდან მეორეში მოსწავლის გადაყვანის  
უფლების მისაღებად მშობელმა შესაბამის განათ-  
ლების განყოფილებას უნდა წარმოუდგინოს  
მოსწავლის წარმატების ფურცელი და იმ მიკრო-  
რაიონში საცხოვრებლად ჩაწერის ცნობა, რო-  
მელშიც ოჯახი გადადის.

7. იმ სკოლის ხელმძღვანელობა, საიდანაც გადადის მოსწავლე,  
შესაბამისი სკოლიდან სათანადო წერილობითი დასტურის საფუძველ-  
ზე, დაუყოვნებლივ უგზავნის მას პირად საქმეს.

შენიშვნა: სხვა სკოლაში გადასული მოსწავლე დირექტორის  
ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა ამოიარიცხოს ამ  
სკოლის მოსწავლეთა სიიდან.

8. მოსწავლეთა გადაყვანა, როგორც წესი, ხდება სასწავლო წლის დაწყებამდე (1-ელ სექტემბრამდე) აუცილებლობის შემთხვევაში კი მხოლოდ 1-ლი და მე-2 მეოთხედის ბოლოს. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა დირექტორის ბრძანებით ხდება მხოლოდ მ.ს. შემდეგ, რაც მიიღეს მის პირად საქმეს.

III. რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულ მოსწავლეთა ჩარიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს კლასებში და სხვადასხვა სასწავლებლებში

9. რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები სწავლას აგრძელებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეცხრე კლასებში, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

იმ მოსწავლეს, რომლებიც შედიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ხელზე ეძლევათ რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა და სათანადო სავტური. რვაწლიანი სკოლის მოწმობა ასევე ხელზე ეძლევათ იმ მოსწავლესაც, რომლებსაც სურთ ისწავლონ ტექნიკუმებსა და მათთან გათანაბრებულ სასწავლებლებში.

10. რვაწლიანი სკოლის იმ რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა მოწმობები, რომლებიც სწავლას განაგრძობენ ამავე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში, რჩება ადილზე. ამასთან, რვაკლასდამთავრებული ყოველი მოსწავლე კურსის დამთავრების მოწმობას პირადად იღებს მოწმობების გაცემის სათანადო წიგნში ხელმიწერის შემდეგ და სკოლის დირექტორის სახელზე წერს განცხადებას იმის შესახებ, თუ სად სურს სწავლის გაგრძელება. თუ მოსწავლეს სურს იმავე სკოლაში გააგრძელოს სწავლა, ეს უნდა გაფორმდეს IX კლასში მისი ჩარიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებით.

შენიშვნა: სკოლის ხელმძღვანელობას ყოველ რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ოფიციალური ცნობები მათი სწავლისა და შრომითი საქმიანობის შესახებ.

11. ყოველი რვაწლიანი და საშუალო სკოლა ზედამხედველობას აწესებს იმ რვაკლასდამთავრებული მოსწავლეების სასწავლო საქმიანობაზე, რომლებიც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სკოლებსა თუ სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში

სწავლობენ და ღებულობს ოპერატიულ ზომებს, რათა რეაქციანი სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლე არ დარჩეს სწავლების გარეშე. საჭიროებისას, სათანადო ზომების მიღების მიზნით, რეაქციანი და საშუალო სკოლების დირექტორები მოსწავლის შესახებ სწავლის საკითხს რაიონის ან ქალაქის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების წინაშე.

#### IV. მეათე კლასის მოსწავლის სკოლიდან სკოლაში გადაყვანა

12. მოსწავლეთა გადაყვანა ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის X კლასიდან მეორეში დასაშვებია მხოლოდ ასეთ პირობებში:

ა) როცა ოჯახი იცვლის საცხოვრებელ ადგილს;

ბ) როცა განათლების ორგანოებს პედაგოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილიდ მიაჩნიათ, მოსწავლემ შეიცვალოს სკოლა.

13. მე-10 კლასის მოსწავლის გადაყვანა, სხვა სკოლაში, რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილების დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

14. მე-10 კლასებიდან მოსწავლის გადაყვანა, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული პირობების დაცვით, წარმოებს სასწავლო წლის დაწყებამდე, აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო წლის 1-ლი და მე-2 მეოთხედის ბოლოს, სხვა დროს მეათეკლასელი მოსწავლეების გადაყვანა აკრძალულია.

15. მე-10 კლასელი მოსწავლეების გადაყვანა თუ ჩარიცხვა სკოლებში, სათანადო ნებართვის საფუძველზე, ფორმდება სკოლის ბრძანებათა წიგნში-

საქართველოს სსრ განათლების

სამინისტროს სკოლების

სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 327—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1974—1975 სასწავლო წელს ჩატარებული-გადასაყვანი, გამოსაშვები და 1975 წელს უმაღლეს სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 392—სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე ქ. თბილისისა და მისი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 6 მაისის № 34 ბრძანების „თბილისის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ“ შექვე . . . . . 16
3. ბრძანება № 439—იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამტკიცების შესახებ, სადაც უფროსკლასელ მოსწავლეთაგან უნდა მომზადდნენ ავტომობილის მძღოლები 22
4. ბრძანება № 441—ქ. თბილისის საღამოს სკოლებში კაბინეტ-ლაბორატორიებისა და თვალსაჩინოების გამოყენების მდგომარეობის შესახებ . . . . . 25
5. ბრძანება № 451—რსფსრ ბელგოროდის ოლქის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონის შესახებ მათემატიკაში, ფიზიკაში და ქიმიაში . . . . . 31
6. ბრძანება № 455—მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ 36
7. ბრძანება № 467—საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილის დადგენილების—„რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა“ თაობაზე . . . . . 63
8. ბრძანება № 472—დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და გადაყვანის წესების დამტკიცების შესახებ . . . . . 72

რედაქტორი უშ. ოზოლაძე  
კორექტორი ე. ქურციკიძე  
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კპვ.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 6/VII-76 წ. ანაწყოების ზომა 6×9,5,  
ჭაღალის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3.

შეკ. № 617.

უფ—04322

ტირაჟი 5.000

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,  
უშ. ჩხეიძის ქ № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств,  
полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР,  
ул. Уш. Чхендзе № 19